პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 156 (9624) | შაბათი, 4 ივლისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

პოლიტიკური აგიტაცია მოსავლის აღების დღეებში — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
ტექნიკის სიახლენი (1-ლი გვერდი).
ა. მერცხულავა. — სკკპ წესდება უმაღლესი ეტაპია პარტიის ორგანიზაციული პრინციპების განვითარებაში (მე-2 და მე-3 გვერდი).
ა. კუჭუხიძე, დ. ადამია. — შესანიშნავი თაოსნობა და უდარდელი ხელმძღვანელები (მე-2 გვერდი).
ბორჯომის კურორტებზე (მე-2 გვერდი).
გაზეთების ფურცლებზე (მე-2 გვერდი).
ვ. ქუთათელაძე. — ოპერა „დაისი" ქუთაისის სცენაზე (მე-3 გვერდი).
გ. გელაშვილი. — ქალაქი მტკვრის მარჯვენა ნაპირას (მე-3 გვერდი).
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის მიმართვა გერმანელი ხალხისადმი (მე-3 გვერდი).
მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის შერეულმა კომისიამ (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## პოლიტიკური აგიტაცია მოსავლის აღების დღეებში

ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო მინდვრებსა და პლანტაციებში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება პურის მკა და ნათესების დამუშავება, ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა და თივის აღება. მოსავლის აღებისა და ნათესების დამუშავების წარმატებით ჩატარება მოითხოვს კიდევ უფრო ფართოდ და ყოველმხრივ გავშალოთ სოფლის მშრომელთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, შემდგომ ავამაღლოთ აგიტაციის დონე. პოლიტიკური აგიტაცია პარტიის ერთ-ერთ მძლავრ იარაღს წარმოადგენს მშრომელების საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, შრომისადმი და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგას სოფლის აგიტატორთა წინაშე. მათ მგზნებარე, კომუნისტური აგიტაციის მთელი ძალა უნდა მოახმარონ სოფლის მეურნეობის დარგში მთავარი ამოცანის — ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის ვადიდების, საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობის შემდგომი გამრავლებისა და ამასთან მისი პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი ზრდის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლას. ეს მოითხოვს, რომ პოლიტიკური აგიტაცია მჭიდროდ დავუკავშიროთ ცხოვრებას, მოსავლის აღების კონკრეტულ სამუშაოებს, რომ იგი გამსჭვალული იყოს მებრძოლური შეტევითი სულისკვეთებით.

ახორციელებენ რა პარტიის XIX ყრილობის მითითებებს, ჩვენი რესპუბლიკის მთელმა რიგმა პარტიულმა ორგანიზაციებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს პოლიტიკური აგიტაციისადმი ხელმძღვანელობა. ისინი უფრო ღრმად სწვდებიან აგიტკოლექტივების მუშაობას, კონკრეტულ და საქმიან დახმარებას უწევენ აგიტატორებს, უნარიანად აკავშირებენ აგიტაციას რაიონის, კოლმეურნეობის წინაშე მდგომ ამოცანებთან. პარტიული კომიტეტები პლენუმებზე და ბიუროს სხდომებზე რეგულარულად განიხილავენ პოლიტიკური აგიტაციის საკითხებს, ისმენენ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისა და აგიტკოლექტივების ანგარიშს.

ათასზე მეტი აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე ეწევა მუშაობას ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებში ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მოყვანისათვის. ისინი საინტერესო საუბრებს მართავენ კოლმეურნეებთან, აღაფრთოვანებენ მათ ჩაის ფოთლის კრეფის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის საბრძოლველად. ასევე ნაყოფიერად მუშაობენ გურჯაანის რაიონის აგიტატორებიც პურეულის მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის. ახლა საგიტაციო-მასობრივი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილია მინდვრად, იქ, სადაც უხვი საკოლმეურნეო მოსავლის მოყვანის ბედი წყდება. მუშაობა გააცხოველეს ამ რაიონის სოფლების კოლაგისა და კარდანახის აგიტკოლექტივებმა. აგიტატორები სისტემატურად გადიან მინდვრად, მემინდვრეობის ბრიგადებში და კომბაინების მომსახურე პერსონალთან მართავენ საუბრებს, უშვებენ საველე გაზეთებს, ამხილებენ და კოლმეურნეებთან ერთად ასწორებენ მუშაობის ნაკლოვანებებს. მოწონებისა და გავრცელების ღირსია რაიონის მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება, რომლებმაც მინდვრად საველე აგიტპუნქტები მოაწყეს. საველე აგიტპუნქტები მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ეწევიან კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შორის, აწყობენ მინდვრად აგიტბრიგადების გასვლას, მართავენ მოხსენებებს და ლექციებს.

სამწუხაროდ, ყველა პარტიული ორგანიზაცია ჯეროვან ყურადღებას როდი აქცევს პოლიტიკური აგიტაციისადმი ხელმძღვანელობას, იმას, რომ აგიტაცია იყოს სისტემატური და ქმედითი, მიზანდასახული და კონკრეტული, მუშაობის ნაკლოვანებებისადმი შეურიგებელი.

საგიტაციო-მასობრივ მუშაობას ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ, მაგალითად, პარტიის ქუთაისის რაიონული კომიტეტი და მისი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება. რაიონის ბევრი კოლმეურნეობა ჩამორჩება ნათესების დამუშავებაში, ჩაის ფოთლის კრეფაში. მაგრამ ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს არ ესმით, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩამორჩენის დაძლევის ერთ-ერთ გადამწყვეტ პირობას მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაშლა წარმოადგენს. ეს ნაკლოვანება დამახასიათებელია, მაგალითად, სიმონეთის საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციისათვის, სადაც სუსტად არის დაყენებული პოლიტიკური აგიტაცია. აქ პარტბიუროს დღემდე აგიტატორებიც კი არ გამოუყვია ყველა ბრიგადასა და მეცხოველეობის ფერმაში, იშვიათად ეწყობა აგრეთვე ლექცია-მოხსენებები. პარტიულ ორგანიზაციას წელს ერთხელაც არ განუხილავს პოლიტიკური აგიტაციის საკითხი.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია გატაცებულია საუბრებისა და მოხსენებების რაოდენობით და მხედველობიდან უშვებს მთავარს — აგიტაციის შინაარსს, მის იდეურ დონეს. მაღალიდეური, შინაარსიანი აგიტაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აგიტატორთა კადრების სწორად შერჩევას და აღზრდას, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობისადმი ქმედითი კონტროლის განხორციელებას. საჭიროა აგიტატორებად შევარჩიოთ პოლიტიკურად მომზადებული და მცოდნე ამხანაგები კომუნისტთა და უპარტიო აქტივისტთა რიგებიდან. მაგრამ სამტრედიისა და ქედის რაიონებში არის შემთხვევები, როცა აგიტატორთა კადრების შერჩევისას სათანადო ყურადღებას და გულისხმიერებას არ იჩენენ. საგიტაციო-მასობრივი მუშაობისადმი ხელმძღვანელობა, უწინარეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ იზრუნოს აგიტატორთა კადრების შერჩევასა და აღზრდაზე. ამ მიზნით საჭიროა რეგულარულად იმართებოდეს აგიტატორთა რაიონული თათბირები, ეწყობოდეს აგიტკოლექტივების მეცადინეობა. პოლიტიკური აგიტაციის იდეური დონის ამაღლების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს აგრეთვე მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების მონაწილეობა. ისინი სისტემატურად უნდა გამოდიოდნენ მშრომელთა მასობრივ კრებებზე პოლიტიკური მოხსენებებით.

კომბაინერი ცენტრალური ფიგურაა მოსავლის აღებაში, ისევე როგორც მკრეფავი გადამწყვეტი ძალაა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფაში. ყოველ კოლმეურნეობაში და მტს-ში არიან მოწინავე მკრეფავები და კომბაინერები. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ აგიტაცია ხელს უწყობდეს მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებას, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ აღმავლობას. მოწინავე მკრეფავთა და კომბაინერთა გამოცდილება ყველა კოლმეურნისა და მექანიზატორის კუთვნილებად უნდა გავხადოთ. ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბევრ რაიონში ჯერ კიდევ ცუდად სწავლობენ და ავრცელებენ მოწინავეთა გამოცდილებას.

საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ერთი აზრითა და მისწრაფებით არიან გამსჭვალულნი — სწრაფად და უდანაკარგოდ აიღონ 1953 წლის მოსავალი. სოფლის პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა აგიტაციის ყველა საშუალება — მოხსენება, ლექცია, საუბარი, პრესა, თვალსაჩინო აგიტაცია — უნარიანად და სწორად გამოიყენონ იმისათვის, რომ კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა წარმატებით გადაწყვიტონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები.

## ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის ცნობებით, 1953 წლის 1 ივლისისათვის მთელ რესპუბლიკაში ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებული იყო 40,5 პროცენტით, ივნისისა მაისის დანაკლისის ჩათვლით — 94,4 პროცენტით. ცალკე რაიონების მიხედვით ჩაის ფოთლის კრეფა-დამზადების მიმდინარეობა შემდეგ სურათს იძლევა: ბათუმის რაიონს ივნისის დავალება მაისის დანაკლისით შესრულებული ჰქონდა 77,8 პროცენტით, ქობულეთის — 118,4, ქედის — 92,3, გალის — 94,1, ოჩამჩირის — 106,3, გულრიფშის — 114,5, სუხუმის — 151,1, გუდაუთის — 125,2, მახარაძის — 98,5, ჩოხატაურის — 82,9, ლანჩხუთის — 88,5, სამტრედიის — 81,7, წულუკიძის — 50,3, ქუთაისის — 72,2, წყალტუბოს — 25,7, ტყიბულის — 67,4, ცხაკაიას — 73,8, აბაშის — 51.4, გეგეჭკორის — 97,8, ზუგდიდის — 93,5, წალენჯიხის — 100, ჩხოროწყუს — 103,1, ხობის — 92,1, თერჯოლის — 50,7 და ზესტაფონისას — 28,7 პროცენტით.

ამ ცნობებიდან ჩანს, რომ ჩაის ძირითადი ფოთლის კრეფა-დამზადების ივნისის გეგმის მაისის დანაკლისის ჩათვლით შესრულებაში მკვეთრად ჩამორჩნენ ბათუმის, წულუკიძის, ქუთაისის, წყალტუბოს, ტყიბულის, ცხაკაიას, აბაშის, თერჯოლისა და ზესტაფონის რაიონები. ივნისის დავალება მაისის დანაკლისით არ შეუსრულებიათ აგრეთვე ქედის, გალის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, სამტრედიის, ზუგდიდისა და ხობის რაიონებს.

უკანასკნელ დღეებში ჩაის ფოთოლი კარგად არის შემოსული. ეს იქიდანაც ჩანს, რომ საქართველოში ივნისის მეექვსე ხუთდღიურში მოიკრიფა და ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდა 3.783,1 ტონა ნედლეული, ხოლო მეხუთე ხუთდღიურში — 1.430,5 ტონა ფოთოლი. სუბტროპიკული რაიონების მშრომელთა გადაუდებელი საქმეა განუწყვეტლივ კრიფონ ჩაის მწვანე ფოთოლი და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან დანაკარგი.

# საბჭოთა საქართველოს დღე

★

### ფეხსაცმელი გეგმის გადამეტებით

ქუთაისი. („კომუნისტის" კორ.). ტყავფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა ვადაზე ადრე შეასრულა ნახევარი წლის საწარმოო დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 6 ათასი წყვილი ფეხსაცმელი.

გეგმების შესრულებაში დაწინაურდნენ ფეხსაცმლის მთავარი შემკვრავი და ძირის ამჭრელი საამქროები, რომლებმაც წლის პირველი ნახევრის დავალებას 15-20 პროცენტით გადააჭარბეს და კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

კომბინატის კოლექტივი თბილისის მოლოტოვის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივს ეჯიბრება და იბრძვის წლის მეორე ნახევარში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

### უნივერსიტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო მივლინებები

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტები და სტუდენტები ყოველწლიურად იგზავნებიან სამეცნიერო მივლინებში მოსკოვს, ლენინგრადს და საქართველოს რაიონებში. ამას წინათ ბიოლოგიის ფაკულტეტის 20 ფრიადოსანი სტუდენტი გაემგზავრა სამგორს, ბორჯომს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ფლორისა და ფაუნის შესასწავლად.

ფილოლოგიის ფაკულტეტის 40 სტუდენტი იგზავნება რესპუბლიკის მთის რაიონებში და დაღისტნის ასს რესპუბლიკაში, რათა შეისწავლონ ქართული ენისა და დაღისტნურ ენათა სხვადასხვა დიალექტები. უფროსი კურსების მთელი რიგი სტუდენტები სამეცნიერო მივლინებით გაემგზავრებიან მოსკოვსა და ლენინგრადში.

მოსკოვში, ლენინგრადში და საბჭოთა კავშირის სხვა სამეცნიერო ცენტრებში მივლინებულია უნივერსიტეტის 50 ასპირანტი. ისინი მუშაობენ დისერტაციებზე, აგროვებენ არქივის მასალებს, კონსულტაციას იღებენ გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერებისა და სპეციალისტებისაგან.

წელს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო მივლინებში გაგზავნის 150-ზე მეტ ფრიადოსან სტუდენტსა და ასპირანტს. (საქინფორმი).

### ალუმინის ჭურჭლის საამქრო

ბათუმი. (საკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო კომბინატის ელექტროსამონტაჟო საწარმოსთან შეიქმნა ალუმინის ჭურჭლის დამამზადებელი საამქრო. იგი უშვებს ალუმინის ტაშტებსა და პატარა ქვაბებს. საამქრო დღეში ამზადებს 200 ტაშტს და ამდენსავე ქვაბს.

უკვე გამოშვებულია 10 ათასამდე ცალი სხვადასხვა სახის ჭურჭელი. საამქროს კოლექტივი რამდენიმე ახალი სახის პროდუქციის გამოშვებას აითვისებს.

### გაჩაღდა თივის აღება

დუშეთი. (საკ. კორ.). ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე რაიონის კოლმეურნეობები თივის აღებას მაისის ბოლოს შეუდგნენ. ყველაზე ადრე თიბვა დაიწყეს მლეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა, რომლებმაც 805 ჰექტარი გათიბეს და აღებული თივა მთლიანად დაზვინეს.

კარგად მუშაობს მთიულეთის კოლმეურნეობის საკვებმომპოვების ბრიგადა, რომელსაც ს. ბუჩუკური ხელმძღვანელობს. ბრიგადამ 700 ჰექტარზე აიღო თივა.

თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს ჯულისელმა მეცხოველეებმა. კოლმეურნე ვ. აფციაურის მეთაურობით მათ საკვები არა მარტო საკუთარი ფერმისათვის მოიმარაგეს, არამედ მეზობელ ცხვედიეთის კოლმეურნეობასაც დაეხმარნენ.

უკანასკნელ ხანს საზამთრო საძოვრებზე ხელსაყრელი ამინდები დაიჭირა. ამან ხელი შეუწყო ბალახის ზრდას. კოლმეურნეები თიბვას დღითიდღე აჩქარებენ. რაიონის კოლმეურნეობებს უკვე გათიბული აქვთ 2.500 ჰექტარი.

### ორი სოფლის კოლმეურნეთა შეჯიბრება

სიღნაღი. („კომუნისტის" კორ.). მოწინავე კოლმეურნეობები დიდ ყურადღებას აქცევენ საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. რაიონში თივა 1 ივლისისათვის აღებული იყო 2.090 ჰექტარზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.900 ჰექტარისა. სულ აღებულია 15.397 ცენტნერი თივა.

შარშან დაბა წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობას ზამთარში პირუტყვის საკვები დააკლდა. ამან დააფიქრა კოლმეურნეობის გამგეობის წევრები. მათ გადაწყვიტეს მაგრად მოეკიდათ ხელი საკვები ბაზის გაფართოებისათვის და განეხორციელებინათ მთელი რიგი აგროტექნიკური ღონისძიებანი საძოვრებისა და მდელოების გასაუმჯობესებლად. შედეგიც ჩინებულია. წელს აქ ბუნებრივი ბალახის უხვი მოსავალი მოიყვანეს. კოლმეურნეობამ დაამზადა 4.650 ცენტნერი თივა და პირუტყვის სადგომებთან მიზიდა. კარგად მუშაობს საკვებმომპოვების ბრიგადა, რომელსაც სოლომონ ბაგალიშვილი ხელმძღვანელობს. კოლმეურნეობა კარგად მომზადა გარეული ბალახის დასახოლებლად. ფართოდ არის გაჩაღებული სასილოსე ორმოების მშენებლობა.

მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საკითხზე წნორის კოლმეურნეობის წევრებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სოფელ საქობოს კაცხოველის სახელობის კოლმეურნეობის წევრები.

მოწინავეთა რიგებშია სოფელ ჯუგაანის კოლმეურნეობა, რომელმაც თივა აიღო 200 ჰექტარზე და კიდეც დაზვინა.

არიან ჩამორჩენილნიც. სოფელ მაღაროსა და ულიანოვკის კოლმეურნეობებს არც ერთი ცენტნერი თივა არ დაუზვინავთ. ამ სამუშაოს აჭიანურებენ სოფელ ანაგის კოლმეურნეობები.

ბრკოლდება თივის მექანიზებული აღება. ულიანოვკის, ტიბაანისა და ალაზნის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები აჭიანურებენ თიბვას, ახალი ტექნიკა სრული სიმძლავრით არ არის გამოყენებული. სამწუხაროა, რომ აღნიშნული მტს-ების ხელმძღვანელები ურიგდებიან ამ სამარცხვინო მდგომარეობას.

### ქისტაურელთა მეთოდით

გურჯაანი. („კომუნისტის" კორ.). რაიონის მეაბრეშუმეებმა წელს ფართოდ დანერგეს აბრეშუმის ჭიის კვების ქისტაურული მეთოდი, რის გამოც პარკის მოსავლიანობა ერთიორად გაადიდეს. სოფელ ახაშენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მესამე ბრიგადაში 5 კოლოფ აბრეშუმის თესლზე მიღებული ჭია გამოკვებეს. გეგმით 250 კილოგრამი აბრეშუმის პარკი უნდა მიეღოთ, ფაქტიურად 397 კილოგრამი მიიღეს. ამ საქმეში თავი ისახელეს მეაბრეშუმეებმა: მ. ბერულაშვილმა, ბ. ყაჭიურმა, ნ. მაძღარაშვილმა და ლ. შანიძემ.

კარდანახის კოლმეურნეობის წევრებმა თ. ხელაშვილმა, თ. ტეტელოშვილმა აბრეშუმის პარკის მოსავლიანობის გეგმა 150-160 პროცენტით შეასრულეს.

### კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეთა სწავლება

სტალინირი. („კომუნისტის" საკ. კორ.). კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ეწყობა ზონალური სემინარები, რომელთა მსმენელებს განუმარტავენ ანგარიშწარმოების კონკრეტულ საკითხებს. ათდღიანმა სემინარმა მუშაობა დაამთავრა ვანათში, სადაც კვალიფიკაცია აიმაღლა კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების 11-მა თავმჯდომარემ. მიღებულ ცოდნას კარგად იყენებენ პრაქტიკულ მუშაობაში კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეები: ვ. არბოლიშვილი (ერედვი), ს. არჩვაძე (ბელოთი) და სხვ.

ამჟამად კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეებისათვის ზონალური სემინარები ეწყობა სტალინირის რაიონის სხვა სასოფლო საბჭოებში.

### გრიბოედოვის სახელობის თეატრის გასტროლები სუხუმში

სუხუმი, 3 ივლისი. (საქინფორმი). ვ. დარასელის გმირული დრამით „კიკვიძე" დაიწყო გასტროლები სუხუმში თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსულმა დრამატულმა თეატრმა. სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა.

გრიბოედოვის სახელობის თეატრი სუხუმში დარჩება 7 ივლისამდე და სუხუმელ მაყურებლებს უჩვენებს თავის 13 საუკეთესო სპექტაკლს: გორკის „ვასა ჟელეზნოვას", ლ. ტოლსტოის „ცოცხალ ლეშს", შილერის „ვერაგობა და სიყვარულს", შერიდანის „საცხოვრო ტყულების დღეს", ა. კორნეიჩუკის „მაკარ დუბრავას", ა. კრონის „შორეულ დაზვერვას", კ. მიუფკეს „ხვალინდელი დღე ჩვენი იქნება" და სხვებს.

## ტექნიკის სიახლენი

### სახარატო ავტომატი

მოსკოვის ა. ი. ეფრემოვის სახელობის ქარხანა „კრასნი პროლეტარმა" დაამზადა ახალი დიდი წარმადობის სახარატო ავტომატი, რომლითაც შეიძლება დამუშავდეს საკისარების დეტალები.

ახალ ჩარხზე ერთდროულად მოქმედებს ათობით მჭრელი ინსტრუმენტი. მუშის მიერ მონაწილეობის მიუღებლად გორგოლაჭ-საკისარიანი რგოლების ნამზადი ავტომატურად გადაეცემა ერთი შპინდელიდან მეორეს. ეს უზრუნველყოფს რგოლების თანმიმდევრულ დამუშავებას სხვადასხვა ოპერაციებში.

### ახალი კონსტრუქციის შტამპი

რიგის ელექტრომანქანათმშენებლობის ქარხანა „ვეფის" ტექნიკოს-კონსტრუქტორმა ამხ. ოლინშმა გააკეთა ახალი კონსტრუქციის ტვიფარი, რომელსაც შეუძლია გააკეთოს ნახვრეტები ლითონში, რომლის სისქე ოთხჯერ უფრო დიდია გამხვრეტი დეროს დიამეტრზე. როგორც გამოცდამ ცხადყო, ნახვრეტების სიზუსტე მაღალ კლასს აღწევს.

2 ივლისი. (საქინფორმი).

### ოცკუბიანი მოსიარულე ექსკავატორი

სვერდლოვსკი. (საქინფორმი). 30 ივნისს ურალის მანქანათმშენებელ ქარხანაში დამთავრდა ოცი კუბური მეტრი ტევადობის ციცხვიანი მოსიარულე ექსკავატორის აწყობა.

საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის მოადგილემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა ბ. სატოვსკიმ განაცხადა:

— ახალი უნიკალური მანქანის შექმნა დიდი წვლილია საბჭოთა მძიმე მანქანათმშენებლობის განვითარებაში. ახალი მიწისამთხრელი აგრეგატის წარმადობა წინანდელ მანქანებთან შედარებით დაახლოებით 30 პროცენტით დიდდება.

ოცკუბიანი გიგანტი განკუთვნილია ქვანახშირის მრეწველობაში სამუშაოდ.

### დონბასისა და კუზბასის მეშახტეთა შეჯიბრება

სტალინო, 2 ივლისი. (საქინფორმი). დღეს დონეცელ მეშახტეთა დელეგაცია კუზნეცკის აუზში გაემგზავრა, რათა შეამოწმოს ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის ორი უდიდესი აუზის მაღაროელებს შორის დადებული სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობა. დელეგაციაში შედიან: გვირაბგამყვანი კ. ა. პოლოხოვი, ქვანახშირის კომბაინ „დონბასის" მემანქანე კ. კ. ჩეპიგო, უბნის უფროსი ი. დ. საეჩენკო და სხვ. დელეგაციას მეთაურობს კომბინატ „სტალინუგოლის" შახტების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე ნ. ი. ბელოვი.

— ჩვენს დელეგაციას, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ამხ. ბელოვმა, — კუზბასში მიაქვს პატაკი დონეცელი მეშახტეების წარმატებათა შესახებ მეხუთე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში. დელეგაციის წევრები ილაპარაკებენ ლავებსა და მთელ შახტებში ციკლური მუშაობის გრაფიკის მასობრივ დანერგვაზე, გაუზიარებენ მოწინავე ტექნიკის გამოყენების გამოცდილებას.

კუზნეცკელმა მაღაროელებმა სოციალისტური ხელშეკრულებანი დადეს დონეცის შახტების ნოვატორებთან. შახტ „კურახოვკის" კომბაინერმა პეტრე კოვალენკომ გვთხოვა გადავცეთ კომბაინის მძღოლს ვლადიმერ კუშნერს, რომ მან შეასრულა თავისი ვალდებულება. ივნისში ამხ. კოვალენკომ თავისი მანქანით 10 ათასი ტონა ქვანახშირი ამოიღო. მის კომბაინს ჩქაროსნულ გათხრაში მიღწევებზე უპატაკებს აგრეთვე დონბასში სამტრესტო-საზურდოდ მანქანის პირველი მემანქანე ნიკოლოზ ფომენკოი, რომელიც ეჯიბრება კუზბასის შახტ „ტირგანსკი უკლონის" გვირაბგამყვანს ფილიპ ბელოუსოვს. ამხ. ფომენკოსა და მის ცვლაში მომუშავეებმა ივნისში კომბაინით 180 მეტრი შტრეკი გაიყვანეს. ეს ოთხჯერ აღემატება ქანსატვირთავი მანქანების დახმარებით გვირაბის გაყვანის საშუალო ტემპს.



პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმის შესრულება კოლმეურნეობათა პირველი მცნებაა. ეს კარგად აქვთ შეგნებული ყვარლის რაიონის სოფელ სანავარდოს კოლმეურნეობის წევრებს, რომლებიც პირველ განალეწ მარცვლეულს აბარებენ სამშობლოს. სურათზე: პურით დატვირთული ავტომანქანების ქარავანი მიემართება დამამზადებელი პუნქტისაკენ.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

# შესანიშნავი თაოსნობა და უდარდელი ხელმძღვანელები

### როგორ არ უნდა ხელმძღვანელობდნენ რკინიგზაზე ხუთასოსანთა მოძრაობას

ოთხმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც წარმოიშვა სიტყვა „ხუთასოვანი", ხოლო კიდევ უფრო ადრე — „მძიმე წონის მატარებლების ტარების ოსტატი". ხუთასოვანს უწოდებენ იმ მემანქანეს, რომლის ორთქლმავალი დღეღამეში საშუალოდ გადის არანაკლებ 500 კილომეტრისა, ხოლო „მძიმე წონის მატარებლების ტარების ოსტატს" — იმ მემანქანეს, რომელსაც მიჰყავს ნორმით გათვალისწინებულზე უფრო მძიმედ დატვირთული მატარებელი.

ხუთასოვანთა და მძიმე წონის მატარებლების მემანქანეთა თაოსნობა საშუალებას გვაძლევს მაქსიმალურად გამოვიყენოთ მძლავრი ორთქლმავლები და ელმავლები, გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება და გავადიდოთ ჩვენი ქვეყნის რკინიგზებზე სახელმწიფო ტვირთზიდვა.

იმისათვის, რომ მემანქანემ მძიმე წონის მატარებლით დღეღამეში გაია- [illegible]

სალიანდაგო დისტანციების კოლექტივები ხუთასოვანთა შესანიშნავ ინიციატივას აქტიურად გამოეხმაურნენ. ჩვენს მაგისტრალზე მრავალმა მემანქანემ გაითქვა სახელი, როგორც სოციალისტური შრომის ნოვატორმა. ხუთასოვანმა მემანქანეებმა გენადი და გრიგოლ ბოგვერაძეებმა თავიანთი ელმავლით ერთ დღეღამეში გაირბინეს 615 კილომეტრი. ასეთივე წარმატება ჰქონდათ მემანქანეებს ა. ლომსაძეს, ვ. ჩომახიძეს, ვ. სხილაძეს, ფ. მალინსკის (თბილისის საორთქლმავლო დეპო), ვ. ოსაძეს, ლ. სამსონოვს, ბ. დუნდუას, რ. აფხაზავას, ი. ზეინალაშვილს (თბილისის საელმავლო დეპო). მათ თავიანთი გამოცდილებით დაამტკიცეს, რომ ამიერკავკასიის რკინიგზაზე ლოკომოტივების გარბენა შეიძლება აყვანილ იქნას 500 და მეტ კილომეტრამდე.

ტრანსპორტელთა ამ პატრიოტული მოძრაობის გაფართოების მიზნით 1951 წელს დაიწყო ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების მემანქანეთა შეჯიბრება. თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანე-ინსტრუქტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა შალვა კოხრეიძემ იცოდა, თუ როგორ მუშაობდნენ მასთან შეჯიბრებული ბაქოელი და ერევნელი მემანქანეები, სოციალისტური შრომის გმირი ფ. აგაევი და ლენინის ორდენოსანი გ. აბაჯიანი. სისტემატური ინფორმაცია შეჯიბრებულთა კოლონების მუშაობის შესახებ დიდ სტიმულს იძლეოდა მუშაობაში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამიერკავკასიის რკინიგზაზე ხუთასოვანთა და მძიმე წონის მატარებლების ტარების ოსტატთა ამ თაოსნობამ ელექტროფიკაციის, მოძრაობის, საორთქლმავლო, სავაგონო, სალიანდაგო და კავშირგაბმულობის სამსახურების ხელმძღვანელთა საქმიანი მხარდაჭერა ვერ ჰპოვა. ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების — საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მემანქანე-ინსტრუქტორების შ. კოხრეიძის, ფ. აგაევისა და გ. აბაჯიანის მემანქანეთა კოლონების შე- [illegible]

150 არასრულწონიანი და 145 არასრულშემადგენლობიანი მატარებელი, და მრავალი ათასი ტონა სახელმწიფო ტვირთი გადაუზიდავი დარჩა.

მატარებელთა ფორმირების წესები განსაკუთრებით ირღვევა ოჩამჩირის, სამტრედიის, ბათუმის, ხაშურის, თბილისის და ნავთლუღის სატვირთო სადგურებში. თბილისის სატვირთო სადგურის მუშაკებმა მაისში ექვსი სატვირთო მატარებელი ნორმამდე დაუტვირთავი გაგზავნეს. სადგურის დისპეტჩერები ვ. კობიძე, ი. თედეევი, გ. ჯულუხაძე, მორიგეები პ. ქორიძე, ჭ. ცაბაია და ნ. ხაჩატურიანი, ნაცვლად იმისა, რომ ისჯებოდნენ არასრულწონიანი და არასრულშემადგენლობიანი მატარებლების გაგზავნისათვის, მხარდაჭერას პოულობენ გზის თბილისის განყოფილების დისპეტჩერებისაგან.

შორაპან-ფოთის უბანზე ზესტაფონელ მემანქანეებს სრული შესაძლებლობა აქვთ თავიანთი ლოკომოტივებით მეტი სახელმწიფო ტვირთი გადაზიდონ, მაგრამ შორაპნის სადგურის მუშაკები და სამტრედიის განყოფილების ხელმძღვანელები მათ მხარს არ უჭერენ, არ ეხმარებიან და ეს ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომლის განხორციელება დიდ ეკონომიას მოგვცემდა, ჯერაც მოუგვარებელია.

ხშირად წევისა და მოძრაობის დისპეტჩერები შეუწყობლად, შეუთანხმებლად მუშაობენ. ეს იწვევს მემანქანეთა ბრიგადების გაცდენას, ლოკომოტივების მიმოქცევის შეფერხებას. მაგალითად, 29 მაისს მემანქანე დ. აბაშიძეს ხაშურიდან თბილისამდე მოჰყავდა ამკრეფი მატარებელი. გზის თბილისის განყოფილების დისპეტჩერ-სელექტორისტის ე. თხელიძის განკარგულებით შემადგენლობა გომის სადგურში გააჩერეს და რამდენიმე ვაგონი მიაბეს. მაგრამ შემდეგ ე. თხელიძემ ახალი განკარგულება გასცა ადგილზე დაეტოვებინათ შემადგენლობაში მისივე განკარგულებით ჩართული ვაგონები. დისპეტჩერის უთავბოლო მუშაობის შედეგად ელმავალი აქ დიდხანს მოცდა. ამავე განყოფილების დისპეტჩერ კვირიკაშვილის არაორგანიზებული მუშაობის შედეგად 24 მაისს თბილისის საორთქლმავლო დეპოს მემანქანეები ა. ლომსაძე და შ. ზურაბაშვილი, რომლებსაც სანაინიდან თბილისში მატარებელი ორმაგი წევით მოჰყავდათ, [illegible]

კუთრებით ღამის საათებში, არ ხვდებიან შემადგენლობებს და ამით აფერხებენ დაწესებული სიჩქარით ლოკომოტივების მოძრაობას.

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფენ, რომ ამიერკავკასიის რკინიგზაზე სუსტად იბრძვიან ლოკომოტივების სიმძლავრის სრულად გამოყენებისათვის.

ასეთი მდგომარეობის გამო გზამ ვერ შეასრულა გადმოტვირთვის და მოძრავი შემადგენლობის ბრუნვის მაისის დავალება, გაიზარდა ადგილობრივი და სატრანზიტო ვაგონების მოცდენა, არ შესრულებულა სატვირთო მატარებლების გაგზავნისა და ტარების გრაფიკი.

ეს ნაკლოვანებანი იმის შედეგია, რომ როგორც გზის ხელმძღვანელობა, ისე მოძრაობის, საორთქლმავლო და ელექტროფიკაციის სამსახური, გზის თბილისის, სამტრედიისა და სუხუმის განყოფილებათა უფროსები ს. კონიაშვილი, გ. შეყრილაძე და ვ. გუჯაბიძე, აგრეთვე პოლიტგანყოფილებები საქმიანად არ ზრუნავენ საერთო საწარმოო აღმავლობის შემაფერხებელ მიზეზთა აღმოსაფხვრელად, მოწინავეთა თაოსნობისა და გამოცდილების დასანერგავად.

ყველა საშუალებით დავუჭიროთ მხარი ხუთასოვანთა მოძრაობას, პროგრესული მეთოდების გავრცელებას!

**ა. კუჭუხიძე,**
**დ. ადამია.**

## მშენებლები ხელს უშლიან რკინიგზელებს

ცხაკაია. („კომუნისტის" კორ.). ცხაკაიელი რკინიგზელები დიდი წარმატებით ემზადებიან რკინიგზელის საკავშირო დღისათვის. მათ შეძლეს ექვსი თვის გეგმის ვადამდე განაღდება, მატარებელთა მოძრაობის გრაფიკის ზუსტად დაცვა, სატრანზიტო ვაგონების მოცდენის შემცირება ნახევარი საათით, მუშაობაში წუნის აღმოფხვრა.

მაგრამ ამ საკვანძო სარკინიგზო სადგურის კოლექტივს დიდად უშლის ხელს ის გარემოება, რომ სადგურის ტერიტორია ავსებულია სამშენებლო ორგანიზაციების სახელზე მიღებული ტვირთებით, უმთავრესად საშენი მასალებით, რაც მშენებლებს დროულად არ მიაქვთ. ამჟამად სადგურიდან კვლავ გაუზიდავია გეგეჭკორის ჩაის ფაბრიკის მშენებლობისათვის მიღებული რამდენიმე ათეული ვაგონი მასალა.

## ბორჯომის კურორტებზე

### 3 მილიონი სამკურნალო პროცედურა

20 წელია მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება ბორჯომის კურორტთა სამმართველოს ბალნეო-ფიზიო-თერაპიული სამკურნალო, რომელიც მომსახურებას უწევს კურორტზე არსებულ სანატორიუმებს და ათასობით მოაგარაკეს. დღემდე სამკურნალო მოემსახურა 1.200 ათას მშრომელს და ჩაატარა 3 მილიონამდე სამკურნალო პროცედურა.

ბალნეო-ფიზიო-თერაპიული სამკურნალო აღჭურვილია უახლესი საბჭოთა სამამულო ტექნიკით და აპარატურით. აქ ყოველდღიურად ტარდება 500-ზე მეტი სამკურნალო პროცედურა. წელს სამკურნალოში ახალი მოწყობილობის დადგმით თითქმის ერთიორად გაიზარდა ნახშირმჟავა აბაზანების გამტარიანობა.

### 98 მილიონი მანეთის საქონელი

რაიონის მოსახლეობას და მოაგარაკეებს მომსახურებას უწევს 140-მდე სავაჭრო ობიექტი. შარშან კურორტვაჭრობის, საქვაჭრობის, სამომხმარებლო და სარეწაო კოოპერაციის სავაჭრო ქსელმა გაყიდა 80 მილიონი მანეთის [illegible]

სამე კვარტალში გამოტანილ იქნება 85 მილიონ მანეთზე მეტი სამრეწველო და სასურსათო საქონელი.

### სარძეო ფერმები სანატორიუმებთან

დამსვენებელთა კვების გაუმჯობესებისათვის კურორტთა სამმართველოს პირველ სანატორიუმთან მოწყობილია სარძეო ფერმა, რომელსაც 72 სული ჯიშიანი ძროხა ჰყავს.

წელს ფერმამ კურორტთა სამმართველოს სანატორიუმებს მისცა 19 ტონა რძე. სანატორიუმებს მიეცა აგრეთვე დიდძალი ახალი კარაქი, ყველი, არაჟანი და ხაჭო.

ახალი რძის ნაწარმით დამსვენებელთა უზრუნველყოფისათვის ასეთსავე ფერმებს აწყობენ ლიკანის, ლიბანის და სხვა სანატორიუმები.

**შ. კოკალიანი.**

## ვიეტნამელ ქალთა დელეგაცია თბილისში

2 ივლისს თბილისს ჩამოვიდა ვიეტნამელ ქალთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ვიეტნამელ ქალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ხოანგ ტი აი. დელეგაცია საბჭოთა კავშირში სტუმრად არის საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის მოწვევით.

აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრი, პროფესორი ნ. ჯავახიშვილი, საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე მწერალი ი. მოსაშვილი, საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ვ. გოგუაძე, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი თ. ხელაშვილი, დოცენტი თ. მრევლიშვილი, კინორეჟისორები ნ. სანიშვილი, ს. დოლიძე და სხვები.

სტუმრებს მიესალმა ნ. ჯავახიშვილი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის მეთაურმა ხოანგ ტი აიმ.

საქართველოს დედაქალაქში ყოფნის პირველ დღეს სტუმრები თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაესწრნენ ღ. თორაძისა და ვ. ჭაბუკიანის ბალეტს „მშვიდობისათვის". (საქინფორმი).

## გაზეთების ფურცლებზე

### მეცნიერთა და პრაქტიკოსთა თანამეგობრობა

მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა აგრონომიული მეცნიერების მიღწევების, პირველხარისხოვანი თანამედროვე ტექნიკის სრულად გამოყენების უსაზღვრო შესაძლებლობას იძლევა. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით მიჩურინული აგრობიოლოგიური მეცნიერების შესანიშნავი მიღწევები ჩაყენებულია ხალხის სამსახურში ჩვენი დიადი ქვეყნის საკეთილდღეოდ. პარტიამ სოფლად მზრუნველობით აღზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავლისათვის მებრძოლნი, რომელნიც თავდადებული შრომით ამრავლებენ საკოლმეურნეო დოვლათს. მიჩურინული აგრობიოლოგიური მეცნიერების უძვირფასესი აღმოჩენების, სოფლის მეურნეობის ნოვატორთა მიერ შემუშავებული ახალი ხერხებისა და მეთოდების დანერგვა კოლმეურნეობებში, [illegible]

ბის მუშაკთა და პრაქტიკოსთა კავშირის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის ხელის ყოველნაირად შეწყობა საბჭოთა პრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. სწორედ ამ საკითხს მიუძღვნა 25 ივნისს სპეციალური გვერდი გაზეთმა „საბჭოთა აფხაზეთმა".

საბჭოთა მეცნიერების თანამედროვე მიღწევების საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგვის შესახებ მოგვითხრობს თავის წერილში ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სუხუმის ფილიალის დირექტორი ამხ. ი. ლომია. ის წერს:

„ფილიალის მეცნიერი მუშაკები დიდად დაინტერესა გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ნოვატორი მეჩაიეების შრომამ. მათ გადაწყვიტეს შეესწავლათ ოქუმელთა მუშაობის მეთოდი და შემდეგ მოეხდინათ მისი ფართო პოპულარიზაცია — დაენერგათ იგი აფხაზეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მართლაც, ჩვენმა მეცნიერმა მუშაკებმა საფუძვლიანად შეისწავლეს ჩაის მაღალი მოსავლის ოსტატის ლაისო ბულისკერიას მუშაობა, მოიწონეს იგი და მის შესახებ დაწერეს მეტად სასარგებლო შრომა, რომელიც უკვე მომზადებულია გამოსაცემად. შედგენილ იქნა აგრეთვე მონოგრაფია ჩაის მოვლა-მოყვანის შესახებ".

ქართველ მეცნიერებსა და კოლმეურნეებს სერიოზული წვლილი შეაქვთ საბჭოთა სუბტროპიკების საზღვრების გაფართოების საქმეში. ისინი ნერგით, თესლით, რჩევა-დარიგებით, თავიანთი გამოცდილების გაზიარებით ეხმარებიან მოძმე რესპუბლიკების მშრომელებს ჩაისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების გავრცელების საქმეში. ამ მხრივ სასარგებლო მუშაობას ეწევიან ტენიან-სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სელექციის სუხუმის სადგურის მუშაკები.

სუხუმელთა ასეთი მზრუნველობით [illegible]

„დიდი მადლობის გრძნობით გაუწყებთ, რომ მივიღეთ თქვენ მიერ გამოგზავნილი ციტრუსოვანთა 248 სანამყენე მასალა, 85 ნერგი და რამის კოლექცია. აგრეთვე მადლობას გიხდით იმისათვის, რომ დახმარება აღმოუჩინეთ და ციტრუსების მოვლა-გაშენება შეასწავლეთ ჩვენ მიერ გამოგზავნილ ახალგაზრდა მუშაკებს. სუხუმელებმა ამ დახმარებით დიდად შეუწყვეს ხელი ციტრუსოვანი კულტურების განვითარებას შუა აზიის რაიონებში".

გვერდზე მოთავსებული მასალების ქმედითობა გაცილებით მეტი იქნებოდა, გაზეთს რომ დაებეჭდა სოფლის მეურნეობის ნოვატორთა წერილები — თუ კონკრეტულად როგორ დახმარებას მოითხოვენ ისინი ჩვენი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისაგან, მოესმინა მათი აზრი მეცნიერთა და პრაქტიკოსთა თანამეგობრობის შემდგომი გაძლიერების საკითხზე.

გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი" მოწოდებულია მომავალში უფრო სრულყოფილად გააშუქოს ეს მნიშვნელოვანი საკითხი.

## „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

**„რა იწვევს ჩაის ფოთლის გაუხეშებას, დანაკარგებს"**—ამ სათაურით 16 ივნისის ნომერში დაიბეჭდა კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკის ცუდი მუშაობა. ამ წერილთან დაკავშირებით საქართველოს ჩაის ტრესტის მმართველმა ამხ. მ. სარჯველაძემ რედაქციას აცნობა, რომ კორესპონდენციაში აღნიშნული ფაქტები სინამდვილეს შეეფერება.

ეს საკითხი განიხილა საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ. მინისტრის ბრძანებით ფაბრიკის დირექტორი ამხ. ჭყონია გაფრთხილებულ იქნა და დაევალა დაუყოვნებლივ გამოასწოროს ნაკლოვანებანი, ხოლო საქართველოს ჩაის ტრესტის მმართველის მოადგილეს ამხ. ჩაგუნავას მიეთითა ჩაის ფაბრიკისადმი ცუდი დახმარებისათვის.

ამასთან ერთად კოლეგიამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი ფაბრიკაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

# სკკპ წესდება უმაღლესი ეტაპია პარტიის ორგანიზაციული პრინციპების განვითარებაში

**ა. მერცხულავა,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

დიადი და სახელოვანი ბრძოლების გზა განვლო საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ — საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა და წარმმართველმა ძალამ, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორმა და სულისჩამდგმელმა.

რუსეთის სინამდვილეში მარქსიზმის რევოლუციური თეორიის შემოქმედებითად გამოყენებით პროლეტარიატის უდიდესმა ბელადებმა ლენინმა და სტალინმა მცირერიცხოვანი მარქსისტული წრეებიდან და ჯგუფებიდან შექმნეს და გამოაწრთეს კომუნისტთა უძლეველი პარტია, რომელმაც სამი რევოლუციის ქარცეცხლში გამოატარა ჩვენი ქვეყნის მშრომელები და მოიპოვა მსოფლიო-ისტორიული წარმატებანი.

პარტიის მიერ მოპოვებულ ისტორიულ წარმატებათა მთავარი წყაროა ის, რომ კომუნისტური პარტია ახალი ტიპის, ნამდვილი მებრძოლი რევოლუციური პარტიაა, რომელიც საკმაოდ გამბედავია იმისათვის, რომ წაიყვანოს მშრომელები ძალაუფლებისათვის საბრძოლველად, საკმაოდ გამოცდილია იმისათვის, რომ გაერკვეს რევოლუციური ვითარების რთულ პირობებში და გვერდი აუაროს ყველა და ყოველგვარ წყალქვეშა ქვებს მიზნისაკენ სავალ გზაზე.

პარტიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს პარტიის ყოველდღიურ ზრუნვას პარტიის წევრის წოდების ამაღლებისათვის.

ჯერ კიდევ პარტიის შექმნის პირველ პერიოდში ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა: „ჩვენი ამოცანაა დავიცვათ ჩვენი პარტიის სიმტკიცე, სიმკვიდრე, სიწმინდე. ჩვენ უნდა ვეცადოთ სულ უფრო და უფრო ავამაღლოთ პარტიის წევრის წოდება და მნიშვნელობა" (თხზ., ტ. 6, გვ. 625, მეოთხე გამოცემა).

შემოქმედებითად ავითარებდა რა პარტიის ორგანიზაციულ მოძღვრებას, დაუღალავად მუშაობდა რა პარტიის წევრის წოდების ამაღლებისათვის, ლენინის საქმის გენიალური განმგრძობი ი. ბ. სტალინი აღნიშნავდა: „ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავიხსომოთ, რომ პარტიის, განსაკუთრებით კომუნისტური პარტიის, ძალა და ხვედრითი წონა დამოკიდებულია არა იმდენად წევრთა რაოდენობაზე, რამდენად მათს ღირსებაზე, მათს სიმტკიცეზე და პროლეტარიატის საქმისადმი ერთგულებაზე" (თხზ., ტ. 5, გვ. 107).

ჩვენი ქვეყნის განვითარების მთელი ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ საზოგადოებრივი განვითარების პროცესში მშრომელთა მილიონიანი მასების გარდამქმნელ როლს განუზომლად აძლიერებს და გიგანტურ ძალად აქცევს მშრომელთა მოწინავე და ორგანიზებული ავანგარდის — კომუნისტური პარტიის მონოლითობა, ორგანიზებულობა, შეგნებულობა, დარაზმულობა, პარტიის წევრთა შემოქმედებითი აქტივობის ამაღლება.

კომუნისტური პარტიის წევრის წოდების ამაღლებისათვის მუდმივი ზრუნვა თავის გამოხატულებას პოულობს პარტიის წესდებაში, პარტიული ცხოვრების ძირითად კანონში, პარტიის ორგანიზაციული პრინციპების ურყევ განხორციელებაში.

ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ურღვევ მთლიანობად შეერთდა ხალხი და კომუნიზმი. საბჭოთა ხალხი უდიდესი პოლიტიკური აღმავლობით სწავლობს პარტიის XIX ყრილობის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს, რომლებშიც ჩამოყალიბებულია კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის წინსვლის გაშლილი პროგრამა.

ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანები ის არის, რომ ააშენოს კომუნისტური საზოგადოება სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზით, განუწყვეტლივ აამაღლოს საზოგადოების მატერიალური და კულტურული დონე, ზარდოს საზოგადოების წევრები ინტერნაციონალიზმისა და ყველა ქვეყნის მშრომელებთან ძმური კავშირის დამყარების სულისკვეთებით, ყოველნაირად განამტკიცოს საბჭოთა სამშობლოს აქტიური თავდაცვა მისი მტრების აგრესიული მოქმედებისაგან.

პარტიის შეცვლილი წესდება, რომელიც აგებულია ამ ახალი მსოფლიო-ისტორიული ამოცანების შესაბამისად, კიდევ უფრო ადუღაბებს კომუნისტური პარტიის რიგებს კომუნიზმისათვის ბრძოლაში. იგი მჭიდროდაა დაკავშირებული პარტიის ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების ამოცანებთან, რომელიც ეხმარება პარტიას განახორციელოს მეცნიერულად დასაბუთებული სწორი პოლიტიკური ხაზი, უზრუნველყოს სოციალისტური საზოგადოების განვითარება მისთვის დამახასიათებელი ობიექტური კანონების მიხედვით.

ჩვენი პარტიის გმირული ისტორია გვასწავლის, რომ როგორც თეორიის, ისე ორგანიზაციის საკითხებში პარტია შემოქმედებითი მარქსიზმის პოზიციებზე დგას. იგი არ განიხილავს ორგანიზაციული მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, როგორც უცვლელს, ერთხელ და სამუდამოდ მოცემულს, ყველა პირობებისათვის გამოსადეგს. პარტია გამომდინარეობს იქიდან, რომ ორგანიზაციული ფორმები და პრაქტიკული მოღვაწეობის მეთოდები თვითმიზანი კი არა, მხოლოდ საშუალებაა დასახული მიზნის განხორციელებისათვის. ამიტომ პარტია თავისი ისტორიული ამოცანების გადაჭრის შესაბამისად ცვლის ორგანიზაციული მუშაობის ფორმებსა და მეთოდებს, ამუშავებს ისეთ კანონებსა და წესებს, რომლებიც უკეთესად უწყობენ ხელს დასახული ამოცანების უსწრაფეს განხორციელებას. ეს პირველ რიგში გამოხატულებას პოულობს პარტიის წესდებაში — პარტიული ცხოვრების ურყევ კანონში.

პარტიის XIX ყრილობაზე მიღებული წესდება ახალი, უმაღლესი ეტაპია კომუნისტური პარტიის ორგანიზაციული პრინციპების განვითარებაში. ეს წესდება განაზოგადებს იმ უმდიდრეს ორგანიზაციულ გამოცდილებას, რომელიც კომუნისტების უძლეველმა პარტიამ შეიძინა XVIII ყრილობის შემდგომ პერიოდში როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა და წარმმართველმა ძალამ.

წესდებაში განვითარებულია პარტიის მშენებლობის ძირითადი ორგანიზაციული პრინციპები. მასში შეტანილია დამატებანი და ცვლილებანი, რაც გამოწვეულია იმით, რომ წინა წესდების ზოგიერთი პუნქტი მოძველდა და წესდებაში, როგორც პარტიული ცხოვრების კანონში, აუცილებელი გახდა ასახულიყო პარტიული მშენებლობის დარგში მოპოვებული უმდიდრესი გამოცდილება. იმასთან დაკავშირებით, რომ მომწიფდა პარტიის სახელწოდების დაზუსტების აუცილებლობა, რადგან საჭიროება არ მოითხოვს ორმაგ სახელწოდებას, ყრილობის მიერ მიღებული სპეციალური დადგენილებით ჩვენს პარტიას ნაცვლად სახელწოდებისა — საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) ეწოდა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია". ეს სახელწოდება უფრო ზუსტია, რადგან ის უფრო შეესაბამება საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ორგანოების სახელწოდებას და ყველაზე სრულად გამოხატავს პარტიის ამოცანების მარქსისტულ შინაარსს.

ლენინი და სტალინი ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ პარტიის წევრის სახელწოდების ამაღლებას. ისინი პარტიას განიხილავდნენ როგორც ციხე-სიმაგრეს, რომლის კარი მხოლოდ ღირსეულთათვის იღება.

პარტიის ახალი წესდება ნიმუშია პარტიის ორგანიზაციული პრინციპების შემდგომი განვითარებისა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი შეიძლება იყოს ყოველი მშრომელი, საბჭოთა კავშირის მოქალაქე, რომელიც ექსპლოატაციას არ უწევს სხვის შრომას, აღიარებს პარტიის პროგრამასა და წესდებას, აქტიურად უწყობს ხელს მათს განხორციელებას, მუშაობს პარტიის ერთ-ერთ ორგანიზაციაში და ასრულებს პარტიის ყველა გადაწყვეტილებას, იხდის დაწესებულ საწევრო შესატანს.

პარტიის წესდება პროგრამასთან ერთად უდიდესი მნიშვნელობის დოკუმენტია. იგი აკანონებს პარტიის აგების ორგანიზაციულ ფორმებს და მისი შინაცხოვრების მთავარ სახელმძღვანელო წესებს, განსაზღვრავს პარტიის შინაგანი ცხოვრების ძირითად დებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პარტიის პროგრამის წარმატებით განხორციელებას, ხელს უწყობს პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირში აგებული სოციალისტური საზოგადოების ისტორიული შედეგების განმტკიცებას, ახალი სოციალური ურთიერთობის განვითარებას, საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას. წესდება ასახავს იმ მდგომარეობას, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია შედგება ორი მეგობრული კლასის — მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის და მათი რიგებიდან გამოსული საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებისაგან.

წესდების მეორე პარაგრაფში კიდევ უფრო ამაღლებულია კომუნისტების პასუხისმგებლობა პარტიის წინაშე. ამასთან ერთად პარტიის წევრისათვის აუცილებელია არა მარტო პროგრამისა და წესდების აღიარება, არამედ მათი განხორციელებისათვის აქტიურად ხელისშეწყობა. ეს გასაგებიც არის, რადგან ჩვენი პარტია რევოლუციური ბრძოლისა და მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებისათვის მოქმედი პარტიაა, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიაში არ ყოფილა. იგი ამ დიადი მიზნების გამოცხადებასთან ერთად თვითეული კომუნისტისაგან მოითხოვს აქტიურ მუშაობას, თავისი ცოდნისა და მთელი ძალების გამოყენებას პარტიის პროგრამასა და წესდებაში დასახული ამოცანების გადასაჭრელად.

ახალი წესდების მესამე პარაგრაფის თერთმეტ პუნქტში (ნაცვლად წინა წესდების 4 პუნქტისა) ჩამოყალიბებულია პარტიის წევრების მოვალეობათა ზუსტი და სრული განსაზღვრა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის მაორგანიზებელი როლისა და კომუნისტების ბრძოლისუნარიანობის შემდგომი ამაღლებისათვის, პარტიაში შეგნებული და რკინისებური დისციპლინის განმტკიცებისათვის.

პარტიის მიერ განხორციელებულმა ღონისძიებებმა დიდად შეუწყო ხელი პარტიულ ორგანიზაციებში პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესებას, პარტიული ორგანიზაციების, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანოების, ორგანიზაციული როლის ამაღლებას, პირველადი პარტიული ორგანიზაციების სისხლსავსე ცხოვრებას, კომუნისტთა აქტივობისა და ინიციატივის ამაღლებას, რაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიის ყოველდღიურ ზრუნვას შინაპარტიული დემოკრატიისა და კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლისათვის.

მაგრამ, აშკარა შეცდომა იქნებოდა არ დაგვენახა, რომ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩება ჩვენი ცხოვრების მოთხოვნებს, ჩვენი პარტიის მიერ დასახულ ამოცანებს. პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში არის ნაკლოვანებანი და შეცდომები, უარყოფითი, ხოლო ზოგჯერ ავადმყოფური მოვლენებიც, რომლებსაც მოურიდებლად უნდა ვაშკარავებდეთ და ვასწორებდეთ. უამისოდ შეუძლებელია შემდგომი წარმატებითი წინსვლა.

ამ ამოცანის გადაჭრისათვის, პარტორგანიზაციებისა და კომუნისტების აქტივობის ამაღლებისათვის, პარტიაში შეგნებული დისციპლინის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პარტიის წესდებაში ჩვენი პარტიის ორგანიზაციული პრინციპებიდან გამომდინარე ახალი პარაგრაფების შეტანას. წესდებით პარტიის წევრი მოვალეა იყოს აქტიური მებრძოლი პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. პარტიის წევრისათვის საკმარი არ არის ის, რომ ეთანხმებოდეს პარტიულ გადაწყვეტილებას. პარტიის წევრი მოვალეა იბრძოდეს ამ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. კომუნისტის პასიური და ფორმალური დამოკიდებულება პარტიის გადაწყვეტილებებისადმი ასუსტებს პარტიის ბრძოლისუნარიანობას და ამიტომ შეუთავსებელია მის რიგებში ყოფნასთან.

წესდებას წითელ ზოლად გასდევს პარტიის უმაღლესი მოთხოვნა კომუნისტებისადმი პარტიის ერთიანობის

# ოპერა „დაისი" ქუთაისის სცენაზე

ქუთაისი მდიდარი მუსიკალური ტრადიციის მქონე ქალაქია. აქ სხვადასხვა დროს მუსიკის მრავალი ცნობილი პედაგოგი მოღვაწეობდა. სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში ქუთაისის მუსიკალურ სასწავლებელს სათავეში ედგა გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე, რომლის სახელსაც ამჟამად ეს სასწავლებელი ატარებს. ამ მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობდნენ საოპერო ხელოვნების ისეთი გამოჩენილი ოსტატები, როგორიც არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი პ. ამირანაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ნ. ცომაია, ე. სოხაძე და სხვები.

ქუთაისში არაერთხელ უცდიათ საოპერო ნაწარმოებთა დადგმა, მაგრამ ეს ცდები მოხალისეთა სპექტაკლებს არ გასცილებია. ოპერები იდგმებოდა ნაწყვეტების სახით, მოსახლეობის ინტერესი კი სრულყოფილი საოპერო სპექტაკლისადმი მუდამ დიდი იყო.

მ. ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიერ საკუთარი ძალებით განხორციელებული ოპერა „დაისი" ქუთაისის სინამდვილეში ოპერის სრულად დადგმის პირველი ცდაა. მასში მონაწილეობს გუნდი 70 კაცის და ორკესტრი 36 კაცის შემადგენლობით.

მ. ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის მუსიკალურმა სასწავლებელმა დირექტორის თ. კობახიძის მხატვრული ხელმძღვანელობითა და დირიჟორობით შეძლო საინტერესო სპექტაკლის განხორციელება. უნდა აღინიშნოს ვოკალური კლასის მასწავლებელთა — თ. მუმლაძის, ზ. ბარინოვასა და ს. კუხიანიძის მიერ წამყვანი პარტიების შემსრულებელ მოსწავლეებთან გაწეული ნაყოფიერი შრომა. კარგად არის მომზადებული საგუნდო პარტიები ს. კუხიანიძის მიერ.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის ახალგაზრდა რეჟისორს ი. კაკულიას. მას ენერგია არ დაუზოგავს, რათა შემსრულებელთა თამაში ბუნებრივი გახადა და კომპოზიტორის მუსიკალური ჩანაფიქრი ზედმიწევნით გადმოეცა. მიმზიდველია ამავე თეატრის მხატვრის დ. თაყაიშვილის მიერ შესრულებული დეკორაციები.

მთავარი პარტიების შემსრულებელთაგან აღსანიშნავია სასწავლებლის კურსდამთავრებული რ. გორგიძე, რომელიც კიაზოს როლს განასახიერებს. ახალგაზრდა მომღერალი ყურადღებას იპყრობს როლის ფსიქოლოგიური მხარის გახსნით, სიმღერის სადა, ბუნებრივი მანერით, მოხდენილი მოძრაობითა და კარგი სცენიური გარეგნობით.

მაროს პარტია შეასრულა მეოთხე კურსის მოსწავლემ ე. შნადშტეინმა, რომელმაც მაყურებელზე მომხიბლავი შთაბეჭდილება დატოვა. თავისი პარტიის ყველაზე რთული ადგილები მან სრული სიზუსტითა და მთელი ბუნებრიობით იმღერა.

მაროს მეგობარი ქალის, ცქრიალა ნანოს როლს კარგად ასრულებს სასწავლებლის მეოთხე კურსის მოსწავლე მ. ჩირაძე. სადა, დამაჯერებელი თამაშით მან შეძლო ნანოს პარტიის სასიმღერო მხარე მის სცენიურ განსახიერებასთან დაეკავშირებინა.

ოხუნჯ მოხუც ცანგალას ბუნებრივად განასახიერებს მე-3 კურსის მოსწავლე რ. გუმბერიძე. თუმცა მას ბარიტონალური ხასიათის ხმა აქვს, მაგრამ ცანგალას მხიარული კუპლეტები მან თავიდან ბოლომდე თავისუფლად იმღერა.

მალხაზის პარტიას მღერის სასწავლებლის მე-4 კურსის მოსწავლე ა. იაკობაშვილი. მიუხედავად იმისა, რომ მალხაზის როლი ოპერაში ყველაზე რთული პარტიაა, ა. იაკობაშვილმა ეს სიძნელე დაძლია.

სასწავლებელი არ შემოიფარგლა ოპერის ძირითადი პარტიების თითო შემსრულებლის მომზადებით. წარმატებით ასრულებენ როლებს ე. გულუა (მარო), მ. ნიქაბაძე (ნანო), ვ. გვენეტაძე (მალხაზი) და სხვ.

მეტად ძნელი ამოცანა იდგა ორკესტრის წინაშე. მას უნდა გადმოეცა ზ. ფალიაშვილის მუსიკის ღედააზრი. ეს ამოცანა ახალგაზრდა მუსიკოსის თ. კობახიძის მუყაითი და თავდადებული შრომით გადაწყვეტილია. ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისის" მელოდიების ცნობილი ჰანგები, მისი დირიჟორობით შესრულებული, მსმენელებზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს.

თავიანთი საქმიანი შენიშვნებითა და კონსულტაციებით სპექტაკლის წარმატებას უდავოდ შეუწყეს ხელი თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორმა შ. ასლანიშვილმა, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრისა და საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის დირიჟორმა ზ. ხუროძემ და ამავე თეატრის დამდგმელმა-რეჟისორმა გ. გელოვანმა.

ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისის" დადგმა ქუთაისის სცენაზე ჩვენი მუსიკალური ახალი კადრების გამარჯვებაა, მნიშვნელოვანი მოვლენაა ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში.

ვ. ქუთათელაძე.



ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი" ქუთაისის სცენაზე. **სურათზე:** სცენა II მოქმედებიდან.
ფოტო დ. კაკიტელაშვილისა.

# ქალაქი მტკვრის მარჯვენა ნაპირას

რუსთავის სიამაყე — ცენტრალური პროსპექტი ახლადაგებული განიერი ხიდით მტკვარსგაღმა უერთდება ფართო ველს, რომელსაც იალღუჯის მთის კალთების გაყოლებით თბილისისაკენ მიმავალი კეთილმოწყობილი შარაგზა გადაჰკვეთს. გათვალისწინებულია ახლო მომავალში შარაგზის ერთი ნაწილი ცენტრალური პროსპექტის გაგრძელებად გადაიქცეს, ხოლო მტკვრის მარჯვენა ნაპირას გადაჭიმული უკაცრიელი ტრამალი დაიფაროს ახალი საცხოვრებელი კვარტალებით, რომელთა საერთო ფართობი ორჯერ მეტი იქნება მტკვრის მარცხენა ნაპირას გაშენებულ ქალაქზე. მტკვრის მარჯვენა მხარის ქალაქის ცენტრში აიგება თეატრის შენობა 800 მაყურებლისათვის, მას გვერდს დაუმშვენებენ კინოთეატრი, სტადიონი, ფიზკულტურის პარკი, საცურავი აუზი, უნივერმაღის, დახურული ბაზრის, მუსიკალური ტექნიკუმის, სახტუმროს, აბანოს, ახალი სკოლების, საქალაქო ბიბლიოთეკის, საბავშვო ბაგის შენობები, მსუბუქი მრეწველობის მსხვილი საწარმოები.

ქალაქის ახალ ნაწილში კიდევ უფრო გამრავლდება ხეივნების, გაზონების, სკვერების, კულტურისა და დასვენების პარკების, შადრევნებისა და ქარსაფარი ზოლების რაოდენობა.

რუსთავის ზრდის ასეთი გრანდიოზული პერსპექტივებით აღფრთოვანებული მშენებლები მოუთმენლად ელიან მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მშენებლობის დაწყებას. ამჟამად მტკვრისგაღმა უკვე ფართო მასშტაბით სრულდება მოსამზადებელი სამუშაოები: გაყვანილია ტექნიკური და სასმელი წყლის მაგისტრალური ხაზები, იქმნება სამშენებლო სამუშაოთა ოპერატიულად შესრულებისათვის საჭირო ბაზები, მშენებლებისათვის აგებენ დროებით საცხოვრებელ სახლებს. ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს დაევალა მოკლე ხანში აგოს ხუთი ასეთი სახლი. ამ საქმეს წარმატებით ასრულებს კომპლექსური ბრიგადა, რომელსაც ა. სტეფანიანი ხელმძღვანელობს. მაისის ბოლო დღეებში სტეფანიანის ბრიგადას მხარში ამოუდგა უკრაინელი კალატოზის კ. ლიხოტას ბრიგადა. კ. ლიხოტამ რუსთავის უკაცრიელ ველზე აგო პირველი სახლი. გამოცდილი კალატოზი ამაყობს იმით, რომ მასვე ხვდა წილად მტკვრის მარჯვენა ნაპირას მდებარე ხრიოკის მყუდროების დარღვევა.

კომპლექსურ ბრიგადებს ნაყოფიერ დახმარებას უწევს ზ. თაბაგარის დურგალთა ბრიგადა.

განზრახულია ახლო ხანში მტკვრის მარჯვენა ნაპირას შეუდგნენ კაპიტალური სახლების აგებას.

ამ საპატიო ამოცანის ღირსეულად შესრულებისათვის წარმატებით ემზადებიან ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მშენებლები.

გ. გელაშვილი.

# სუხუმის თეატრის სპექტაკლების განხილვა

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ხელოვნების მუშაკთა სახლში მოაწყო სუხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლების განხილვა. სუხუმის თეატრმა გასტროლები თბილისში დაამთავრა 30 ივნისს.

განხილვას დაესწრნენ ქართული თეატრალური ხელოვნების მოღვაწეები, სუხუმისა და თბილისის თეატრების მსახიობები, თეატრალური საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სუხუმის თეატრის მიერ თბილისში ნაჩვენები სპექტაკლების მოკლე მიმოხილვა გააკეთა თეატრმცოდნე ა. ბურთიკაშვილმა. მან აღნიშნა თეატრისა და მისი ძალების შემოქმედებითი წარმატება.

ახალგაზრდა თეატრმცოდნე ე. დავითაია თავის სიტყვაში შეეხო ახალგაზრდა კადრების მომზადების საკითხს და აღნიშნა, რომ თეატრის წინა ჩამოსვლის დროიდან (1950 წლიდან) მასში საგრძნობლად იკლო ახალგაზრდა შემოქმედებითმა ძალებმა.

თეატრმცოდნე ე. შაფათავამ დაწვრილებით გაარჩია ა. ოსტროვსკის პიესის „უდანაშაულო დამნაშავენის" დადგმა, საუკეთესოდ შეაფასა აქტიორული ანსამბლი, რუსული კლასიკური ნაწარმოების განხორციელებაზე თეატრის მიერ გაწეული მუშაობა.

დეკორაციებზე ახალგაზრდა მხატვრის ა. ვერულეიშვილის კარგ მუშაობაზე ილაპარაკა თეატრმცოდნემ ნ. შვანგირაძემ. დრამატურგმა გ. ბერძენიშვილმა სუხუმის თეატრის მხატვრულ ხელმძღვანელობას უსაყვედურა, რომ იგი შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევს ქართულ თანამედროვე და კლასიკურ პიესებს.

დოცენტმა ი. მეგრელიძემ თქვა, რომ არადამაკმაყოფილებლადაა თარგმნილი გ. ფრონისპირელის მიერ ქართულ ენაზე ლ. ტოლსტოის დრამა „ცოცხალი ლეში" და რომ სუხუმის თეატრის ცალკეულმა მსახიობებმა უნდა იმუშაონ სასცენო ენის სიწმინდეზე.

დასასრულ გამოვიდა თეატრის დირექტორი და მთავარი რეჟისორი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. ქელიძე. მან კოლექტივის სახელით პირობა დადო თეატრის მუშაობაში გაითვალისწინოს იმ ამხანაგების შენიშვნები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს განხილვაში.

# გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილჰელმ პიკის მიმართვა გერმანელი ხალხისადმი

ბერლინი, 2 ივლისი. (საკდესი). დღეს ბერლინის დემოკრატიული სექტორის რადიოსადგურებმა გადასცეს გერმანელი ხალხისადმი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის მიმართვა, რომელიც ჩაწერილია აფსკზე.

მიმართვაში ნათქვამია:

ძვირფასო თანამემამულენო, ძვირფასო მეგობრებო და ამხანაგებო!

უკანასკნელ დღეებსა და კვირეებში მე მივიღე იმდენი მისალმება, იმდენმა ადამიანმა მისურვა ჯანმრთელობა და გამომიცხადა ნდობა, რომ ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს გულითადი მადლობა მოვახსენო ამისათვის ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელს და ყველა ჩემს ამხანაგს. სწორედ იმ დღეებში, როცა იმპერიალისტურმა ძალებმა მოაწყეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართული ფაშისტური ავანტიურა, მე განსაკუთრებით მჭიდროდ დაკავშირებულად ვგრძნობდი თავს ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელთან და მშვიდობისმოყვარე მოქალაქესთან.

ათასობით წერილიდან და ჩემს კანცელარიაში მიღების საათებში მოსულ მნახველთა ნათქვამიდან მე ვიცი ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილებანი და საჭიროებანი. ამიტომ მაისის დამლევს, როცა ჩემი პარტიის პოლიტბიუროს წარმომადგენლებმა მაცნობეს პოლიტბიუროს სხდომების შესახებ, მე სავსებით მოვიწონე პარტიისა და მთავრობის კურსის შეცვლა. ეს ახალი კურსი, რომელიც 9 ივნისს ეცნობა საზოგადოებრიობას, მიზნად ისახავს მოსახლეობის ყველა ფენის ცხოვრების დონის ამაღლებას, ჩვენს რესპუბლიკაში მდგომარეობის საერთო გაუმჯობესებას და ჩვენი სამშობლოს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებს შორის უფსკრულის ლიკვიდაციას.

სწორედ იმიტომ, რომ ახალი კურსი ეხმარება მშრომელებს, იმიტომ, რომ იგი ემსახურება ერთიანობისა და მშვიდობის საქმეს, სწორედ ამიტომ იგი აშინებს ხალხის მტრებს — მონოპოლისტებსა და ომის გამჩაღებლებს. ბერლინში ფაშისტური პროვოკაციების შესახებ პირველი ცნობის მიღების მომენტიდან ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ამ პროვოკაციების მიზანი იყო პარტიისა და მთავრობის ახალი კურსის ჩაფუშვა. ამასთან პროვოკატორებმა ბოროტად გამოიყენეს უკმაყოფილება, რომელიც უდავოდ იყო მშრომელთა ერთ ნაწილში, რომლებიც აყენებდნენ არსებულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ მიმართულ ზოგიერთ დასაბუთებულ მოთხოვნას. მაგრამ შეცდომაში დროებით შეყვანილი მშრომელებიც ძალიან მალე მიხვდნენ, რა საშიშ გზაზე უნდოდათ მათი გადაყვანა ფაშისტ ავანტიურისტებსა და მათს უცხოელ წამქეზებლებს.

როგორც თავის დროზე რაიხსტაგისათვის ცეცხლის წაკიდება, ისე ახლა ცეცხლის წაკიდება „პოტსდამერ პლაცის" მოედანზე უნდა გამხდარიყო ჩირაღდნით მიცემული სიგნალი ახალი ომის გასაჩაღებლად. მშრომელთა უმრავლესობის სიმტკიცის შედეგად, სახალხო პოლიციის გაბედული მოქმედებისა და საბჭოთა ჯარების დროულად და გონივრულად ჩარევის შედეგად ხანძრის ნაპერწკალი ჩაქრობილ იქნა მანამდე, სანამ იგი შეძლებდა ახალი ომის გაჩაღებას. ამისათვის გულწრფელ მადლობას ვუძღვნი ყველას, ვინც თავისი თავდადებული მოქმედებით იცავდა ჩვენს დემოკრატიულ წყობილებასა და მშვიდობას.

ახლა საჭიროა ძალების კიდევ უფრო მეტი დაძაბვით განვაგრძოთ ახალი კურსი. მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 9 ივნისიდან უკვე მიღებული და ჯერ კიდევ დაგეგმილი ყველა ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს სწრაფად და გაბედულად. ეს მოითხოვს, რომ ყველა, ვინც გულწრფელად იბრძვის ხალხის კეთილდღეობისათვის, თანამშრომლობდეს სრული ნდობის საფუძველზე. ახლა თვითეულმა მშრომელმა კარგი მუშაობით და თავისი ამოცანების კეთილსინდისიერი შესრულებით ხელი უნდა შეუწყოს თავისი ოჯახის ცხოვრების დონის ამაღლებას. თვითეულმა პატიოსანმა გერმანელმა ახლა უნდა შეიგნოს, რომ ფაშისტი პროვოკატორები განადგურებულ უნდა იქნან, რათა გათავისუფლდეს გერმანელთა ურთიერთგაგების გზა, რათა მივაღწიოთ ნამდვილ თავისუფალ არჩევნებს მთელ გერმანიაში და სამართლიანი საზავო ხელშეკრულების დადებას.

წინ ჩვენი პარტიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ახალი კურსით, ხალხის კეთილდღეობისათვის, გერმანიის ერთიანობისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის!

# მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის შერეულმა კომისიამ

ოსლო, 2 ივლისი. (საკდესი). გასული წლის იანვარში შეიქმნა საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის შერეული კომისია, რომელსაც უნდა განეხილა საკითხი იმ საბჭოთა მოქალაქეების საფლავების შესახებ, რომლებიც ნორვეგიაში დაიღუპნენ ომის დროს. კომისიამ განიხილა ამ საფლავების შესახებ არსებული ყველა მასალა და მოიარა იმ რაიონების უმეტესობა, სადაც ეს საფლავებია.

გულდასმით განხილვის შემდეგ კომისიაში მიღწეულია შეთანხმება მთელ ნორვეგიაში საფლავებისა და სასაფლაოების სათანადო წესრიგზე მოყვანის შესახებ. კომისიამ შეიმუშავა ამისათვის საჭირო ღონისძიებანი.

ეს ღონისძიებანი, რომლებიც ორივე მხარის ხელისუფლებმა მოიწონეს, ითვალისწინებენ, რომ საფლავების ნაწილი გადატანილ იქნება სხვა, უფრო შესაფერ ადგილას, ხოლო დანარჩენები კეთილმოწყობილ და წესრიგზე მოყვანილ იქნება იმ ადგილებში, სადაც ისინი ამჟამად იმყოფებიან.

# ილია ჭავჭავაძის რჩეული ნაწერები ოსურ ენაზე

სტალინირი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ოსურ ენაზე გამოსცა დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის რჩეულ ნაწარმოებთა კრებული.

კრებულში შეტანილია ილიას საუკეთესო ლექსები, პოემა „კაკო ყაჩაღი", მოთხრობები: „კაცია ადამიანი?!", „მგზავრის წერილები", „გლახის ნაამბობი".

თარგმანი შეასრულეს რ. ასაევმა, კავკაზაგმა, პ. ფუხაევმა, ს. გაზაევმა და სხვ.

---

დაცვისა და რევოლუციური, შემტევი სიფხიზლის ამაღლების შესახებ. პარტიის წევრი მოვალეა ყოველნაირად დაიცვას პარტიის ერთიანობა, როგორც პარტიის ძალისა და ძლიერების მთავარი პირობა. პარტია თვითეულ თავის წევრს, ყველა მშრომელს ზრდის მაღალი პოლიტიკური სიფხიზლის სულისკვეთებით, შინაგან და გარეშე მტრებთან ბრძოლაში შეურიგებლობისა და სიმტკიცის სულისკვეთებით. კომუნისტი მოვალეა იცავდეს პარტიულ და სახელმწიფო საიდუმლოებას, იჩენდეს პოლიტიკურ სიფხიზლეს, ახსოვდეს რომ კომუნისტების სიფხიზლე აუცილებელია ყოველ უბანზე და ყოველ ვითარებაში. ვინც ამ პირობას არღვევს, არ შეიძლება პარტიის რიგებში ირიცხებოდეს.

ახალი ტიპის პარტიის მშენებლობის ორგანიზაციული პრინციპები გვასწავლის, რომ თუ პარტიას სურს შეინარჩუნოს თავისი რიგების ერთიანობა, იგი პრაქტიკაში უნდა ატარებდეს ერთიან პროლეტარულ დისციპლინას, თანაბრად სავალდებულოს პარტიის ყველა წევრისათვის, როგორც ლიდერებისათვის, ისე რიგითი წევრებისთვისაც. ამიტომ პარტიაში არ უნდა იყოს დანაწილება „რჩეულებად", რომლებისთვისაც დისციპლინა სავალდებულო არ არის და „არარჩეულებად", რომლებიც ვალდებული არიან დაემორჩილონ დისციპლინას. თუ ეს პირობა არ იქნა დაცული, ისე არ შეიძლება შენარჩუნებულ იქნას პარტიის მთლიანობა და მისი რიგების ერთიანობა.

მიუხედავად ამ ჭეშმარიტებისა, ზოგიერთ კომუნისტში ჯერ კიდევ დარჩენილია არასწორი, მავნე, „ბატონკაცური" შეხედულება და დავიწყებულია ის ამბავი, რომ ჩვენს პარტიაში არ არსებობს ორი დისციპლინა. ზოგიერთ მუშაკს ჰგონია, რომ პარტიული გადაწყვეტილებანი და საბჭოთა კანონები მისთვის სავალდებულო არ არის, რომ მას თავისი მდგომარეობის გამო უკანონობა და თვითნებობა ეპატიება. ამ ბოროტების აღმოფხვრისათვის, რომელიც ძირს უთხრის პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას და დიდ ზიანს აყენებს პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებს, ახალ წესდებაში აღნიშნულია, რომ პარტიის წევრი მოვალეა იცავდეს პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას, რომელიც თანაბრად სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის. პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის დარღვევა დიდი ბოროტებაა, რომელიც ზიანს აყენებს პარტიას, და ამიტომ შეუთავსებელია მის რიგებში ყოფნასთან.

პარტიულ და სახელმწიფოებრივ დისციპლინას უხეშად არღვევდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივნები ჩარკვიანი და მგელაძე თავიანთი ამყოლებით. ისინი მუშაობაში ნერგავდნენ ჩვენი პარტიისათვის უცხო, მანკიერ სტილს, შინაურობას, მლიქვნელობას, ადუნებდნენ კომუნისტების აქტივობას, თავიანთი კარიერისტული მიზნებით მწყობრიდან გამოჰყავდათ პარტიისათვის თავდადებული მუშაკები, რითაც უდიდესი ზიანი მიაყენეს ჩვენს პარტიას. კ. ჩარკვიანმა და ა. მგელაძემ არათუ არ გამოიჩინეს უნარი ელემენტარული კრიტიკული მიდგომისა საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის, ხალხის საზიზღარი მტრის რუხაძის და მის ხელშემწყობთა მიერ შეთითხნილი პროვოკაციული „საქმისადმი" საქართველოში არარსებული ნაციონალიზმის შესახებ და თავდადებულ აქტიურ მუშაკთა წინააღმდეგ ფალსიფიცირებული „მასალებისადმი", არამედ ხელს უწყობდნენ რუხაძის საზიზღარ მოქმედებას, აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სრულიად უდანაშაულო პატიოსან მუშაკთა პროვოკაციულ დაპატიმრებაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წ. აპრილის პლენუმმა, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პლენუმებმა, პარტიულმა კონფერენციებმა, რომლებმაც მაღალი პოლიტიკური აქტივობით ჩაიარა, გამოამჟღავნეს ცენტრალური კომიტეტის ძველი ხელმძღვანელობის უდიდესი პოლიტიკური შეცდომები და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე დასახეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი ამ შეცდომების აღმოსაფხვრელად.

პარტია გვასწავლის, რომ თვითკრიტიკის გარეშე არ არსებობს პარტიის, კლასის, მასის სწორი აღზრდა. კრიტიკისა და თვითკრიტიკის გარეშე იქმნება უძრაობა, ფეხს იკიდებს ბიუროკრატიზმი, ისახება პარტიის გადაგვარების საფრთხე, კნინდება მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა.

ჩვენს პარტიას უდიდეს ზიანს აყენებენ ის კომუნისტები, რომლებიც დაუსრულებლად გაჰყვირიან პარტიისადმი თავიანთ ერთგულებაზე, ხოლო ფაქტიურად საწინააღმდეგოდ იქცევიან, ახშობენ ქვემოდან კრიტიკას, ხელს უშლიან პარტიის რიგით წევრებს გამოამჟღავნონ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებანი და დაეხმარონ პარტიას მათს ლიკვიდაციაში. ასე იქცეოდა საქართველოს კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი ა. მგელაძე და მისი უახლოესი ამყოლნი, ხელმძღვანელობაში გამძვრალი კარიერისტები: ძმები ზალიკაძეები, შ. გეთია და სხვები, რომლებმაც დაივიწყეს კომუნისტის ელემენტარული მოვალეობები, სდევნიდნენ პატიოსან მუშაკებს, უსირცხვილოდ ჩქმალავდნენ სერიოზულ ნაკლოვანებებს და ყოველნაირად ახშობდნენ ქვემოდან კრიტიკას.

პარტიის წესდება მოითხოვს კომუნისტებისაგან — ავითარებდნენ თვითკრიტიკას და კრიტიკას ქვემოდან, ავლინებდნენ ნაკლოვანებებს მუშაობაში და იბრძოდნენ მათი აღმოფხვრისათვის, იბრძოდნენ პარადული კეთილდღეობისა და მუშაობაში წარმატებებით დატკბობის წინააღმდეგ. კრიტიკის ჩახშობა მძიმე ბოროტებაა. ვინც ახშობს კრიტიკას, ცვლის მას პარადულობითა და ხოტბის შესხმით, — ჩაწერილია პარტიის წესდებაში, — ის არ შეიძლება პარტიის რიგებში იმყოფებოდეს.

კომუნისტი ვალდებულია აცნობებდეს ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს, თვით ცენტრალურ კომიტეტამდე, მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს. პარტიის წევრს უფლება არა აქვს დამალოს საქმის ცუდი მდგომარეობა, დაფაროს ვისიმე არასწორი მოქმედება, რომელიც ზიანს აყენებს პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებს. ის, ვინც პარტიის წევრს ხელს უშლის ამ მოვალეობის შესრულებაში, — მოითხოვს წესდება, — სასტიკად უნდა დაისაჯოს, როგორც პარტიის ნების დამრღვევი.

პარტია დიდ ბოროტებად თვლის კომუნისტის მიერ პარტიისათვის სიმართლის დამალვას, პარტიის მიმართ არაგულმართლობას და უპატიოსნო ქცევას. პარტიის ახალი წესდება ავალებს ყოველ კომუნისტს იყოს გულმართალი და პატიოსანი პარტიის წინაშე, არ დაუშვას სიმართლის დაფარვა და დამახინჯება. პარტიის წინაშე კომუნისტის არაგულმართლობა და პარტიის მოტყუება უმძიმესი ბოროტებაა და შეუთავსებელია პარტიის რიგებში ყოფნასთან.

ცნობილია, რომ კადრების შერჩევა და შესრულების შემოწმება მთავარია ორგანიზაციულ მუშაობაში. ამიტომ პარტიის ახალი წესდება ყოველ კომუნისტს ავალებს პარტიის მიერ მინდობილ ყოველ პოსტზე განუხრელად ახორციელებდეს პარტიის მითითებებს კადრების სწორად, მათი პოლიტიკური და საქმიანი თვისებების მიხედვით შერჩევის შესახებ. ამ პრინციპის დარღვევა, მუშაკის შერჩევა პირადი მეგობრობისა და ერთგულების, თანასოფლელობისა და ნათესაობის ნიშნის მიხედვით შეუთავსებელია პარტიაში ყოფნასთან. საქ. კ. პ. ც. კ-ის ძველი ხელმძღვანელობის მიერ უხეშად იყო დარღვეული კადრების შერჩევის ეს პარტიული პრინციპი. კადრების შერჩევა ხდებოდა მეგობრული და ნათესაური დამოკიდებულების მიხედვით. ადგილი ჰქონდა ატამანშჩინის ელემენტებს, შიშველ ადმინისტრირებას, მუშაკების დაუმსახურებელ ჯიჯგნას, შეურაცხყოფას, რაც შეუთავსებელია პარტიის წესდების მოთხოვნებთან.

წესდება ყოველი კომუნისტისაგან მოითხოვს იყოს მოწინავე, მაგალითს იძლეოდეს შრომაში, ეუფლებოდეს თავისი საქმის ტექნიკას, განუწყვეტლივ იმაღლებდეს კვალიფიკაციას, განამტკიცებდეს კავშირს მასებთან, დროზე ეხმაურებოდეს მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, მუდამ ახსოვდეს, რომ ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობა მისი სისხლხორცეული კავშირია ხალხთან. კომუნისტი მოვალეა მუშაობდეს თავისი შეგნებულობის ასამაღლებლად, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების შესათვისებლად, რადგან მარქსისტულ-ლენინური ყოვლისმძლე თეორია პარტიას აძლევს მიზნის სიცხადეს, გამარჯვების ურყევ რწმენას, ყოველ ვითარებაში გარკვევის უნარს; იგი პარტიის ბასრი იდეური იარაღია კომუნიზმისათვის ბრძოლაში. ამასთან წესდება კომუნისტებს ანიჭებს უფლებებს, რომლებსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნისტების აქტივობის ამაღლებისათვის. ეს უფლებები პირველად ჩამოყალიბდა პარტიის XVIII ყრილობაზე მიღებულ წესდებაში, ახლა კი ახალი რედაქციით შევიდა პარტიის XIX ყრილობაზე მიღებულ წესდებაში.

ყოველ კომუნისტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს პარტიული პოლიტიკის საკითხების თავისუფალ და საქმიან განხილვაში, გააკრიტიკოს პარტიულ კრებებზე პარტიის რომელიც უნდა იყოს მუშაკი, აირჩიოს და არჩეულ იქნას პარტიულ ორგანოებში, მოითხოვოს პირადი მონაწილეობა ყველა შემთხვევაში, როცა გამოაქვთ გადაწყვეტილება მისი საქმიანობის თუ საქციელის შესახებ, მიმართოს ყოველგვარი შეკითხვითა და განცხადებით, რომელიც უნდა იყოს პარტიულ ინსტანციას, თვით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტამდე.

კომუნისტებისათვის პარტიის ზრუნვის უდიდესი გამოხატულებაა ახალი წესდებით იმის დაკანონება, რომ პარტიიდან კომუნისტის გარიცხვის საკითხის გადაწყვეტისას მაქსიმალური სიფრთხილით მიუდგნენ საკითხის განხილვას, გამოიჩინონ ამხანაგური მზრუნველობა, გულდასმით ჩაუკვირდნენ, თუ რამდენად დასაბუთებულია პარტიის წევრისათვის წაყენებული ბრალდებანი. წესდების მე-14 პარაგრაფი ითვალისწინებს, რომ მცირე დანაშაულისათვის გამოყენებულ იქნას პარტიული აღზრდის ზომები, ხოლო აუცილებელ შემთხვევაში — პარტიის წევრის გადაყვანა კანდიდატად ერთ წლამდე ვადით. გარიცხულთა აპელაციები სათანადო პარტიულმა ორგანოებმა უნდა განიხილონ არა უგვიანეს ოცი დღისა მათი შემოსვლიდან.

წესდებით დიდი მნიშვნელობა ეძლევა პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობას.

გამოცდილებამ დაანახვა პარტიას, რომ პარტიული აპარატის სტრუქტურა ცვლილებებს განიცდის ვითარებასთან და კონკრეტულ პირობებთან დაკავშირებით. პარტია ისე აწყობს თავის აპარატს, როგორც ეს შეეფერება მის წინაშე დასახული ამოცანების მოქნილად გადაწყვეტას და აღარ არის საჭირო წესდებაში პარტიული აპარატის სტრუქტურის შეტანა. ახალ წესდებაში დაზუსტებული და უფრო სრულად არის მოცემული ადგილობრივი პარტიული კომიტეტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები.

წესდებაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომ გაშლას. იგი პარტიული ცხოვრების დემოკრატიული საფუძვლების ზუსტად დაცვისა და შემდგომი განვითარებისათვის ზრუნვით არის გამსჭვალული.

ჩვენს ეპოქაში, როცა საბჭოთა ხალხი წარმატებით ახორციელებს სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის მსოფლიო-ისტორიულ ამოცანას, პარტიის ახალ წესდებაში დაკანონებული პრინციპები ხელს უწყობენ მას ახალ-ახალ გამარჯვებათა მოპოვებაში კომუნისტური პარტიის — მმართველი პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის შემდგომი გაძლიერების გზით.

არა არის რა იმაზე უფრო საპატიო, ვიდრე კომუნისტური პარტიის წევრის მაღალი წოდება. პარტიისა და ხალხის მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში პარტიამ დაიცვა თავისი რიგების ერთიანობა, მონოლითურობა და დარაზმულობა. ჩვენი წმიდა მოვალეობა ის არის, რომ კვლავაც განვამტკიცოთ დიადი კომუნისტური პარტია. ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობაა მისი რიგების ერთიანობა და დარაზმულობა, ნებისა და მოქმედების ერთიანობა, პარტიის წევრთა უნარი — შეუერთონ თავიანთი ნება პარტიის ნებასა და სურვილებს. ჩვენი პარტიის ძალა და უძლეველობაა ხალხის მასებთან განუყრელი კავშირი. პარტიისა და ხალხის ერთიანობის საფუძველია პარტიის მუდმივი სამსახური ხალხის ინტერესებისადმი.

პარტიის XIX ყრილობის ისტორიული დადგენილებები საბჭოთა ხალხის ახალი წინგადადგმული გრანდიოზული ნაბიჯია სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისათვის. ამ წინსვლის გზაზე უდიდეს როლს ასრულებს პარტიის შეცვლილი წესდება — პარტიული ცხოვრების ძირითადი კანონი.

## გ. დიმიტროვის გარდაცვალების მეოთხე წლისთავი

### საზეიმო-სამგლოვიარო კრება სოფიაში

სოფია, 2 ივლისი. (საკდესი). დღეს სახალხო თეატრში გიორგი დიმიტროვის გარდაცვალების მეოთხე წლისთავის გამო გაიმართა სოფიელ მშრომელთა საზეიმო-სამგლოვიარო კრება.

საღამოს შვიდ საათზე ადგილები დაიკავეს პრეზიდიუმში ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა ვილკო ჩერვენკოვის მეთაურობით, აგრეთვე ბულგარეთის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებმა.

საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით აირჩიეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

კრებამ ფეხზე ადგომით და ერთი წუთის დუმილით პატივი სცა გიორგი დიმიტროვის ხსოვნას.

გიორგი დიმიტროვის გარდაცვალების მეოთხე წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა და ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ანტონ იუგოვმა.

## გვირგვინებით შეამკეს გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმი სოფიაში

სოფია, 2 ივლისი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, დღეს ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ვილკო ჩერვენკოვის მეთაურობით გვირგვინებით შეამკეს გიორგი დიმიტროვის მავზოლეუმი.

## ბულგარელი მშრომელები აღნიშნავენ გიორგი დიმიტროვის გარდაცვალების მეოთხე წლისთავს

სოფია, 2 ივლისი. (საკდესი). დღეს ბულგარელი მშრომელები აღნიშნავენ გიორგი დიმიტროვის გარდაცვალების მეოთხე წლისთავს.

ბულგარეთის გაზეთებმა გამოაქვეყნეს სტატიები, მოგონებანი და სხვა მასალა, მიძღვნილი ფაშიზმის წინააღმდეგ უშიშარი მებრძოლის, ბულგარეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი.

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები მხარს უჭერენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებებს

ბერლინი, 2 ივლისი. (საკდესი). როგორც მოწმობენ მიტინგები და კრებები, რომლებიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყველგან ეწყობა მთავრობისა და პარტიისადმი მშრომელთა ნდობის ნიშნით, რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა გმობს 17 ივნისის ფაშისტურ პროვოკაციებს, რომელთა მიზანი იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიანი მშენებლობის ჩაშლა, და მას თავის საკუთარ საქმედ მიაჩნია მთავრობის უკანასკნელ გადაწყვეტილებათა განხორციელება.

თავისი მთავრობისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისადმი ხალხის ნდობის ნათელი დემონსტრაცია იყო პოტსდამის მოსახლეობის 20-ათასიანი მიტინგი, რომელზეც გამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვალტერ ულბრიხტი.

ულბრიხტის გამოსვლის შემდეგ მშრომელებმა და ახალგაზრდობამ მას გადასცეს მრავალი ვალდებულებანი, რომლებშიც ცხადყვეს თავიანთი მისწრაფება — თანმიმდევრულად იბრძოლონ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული

[illegible]

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებანი კრების მონაწილეებს განუმარტა ენერგეტიკოსთა პროფკავშირის თავმჯდომარემ ეგერმა. კამათში გამოვიდა 19 კაცი. ჩვენმა კოლექტივმა, თქვა მუშა გრასემ, წინააღმდეგობა გაუწია ყველა ცდას, რომლებსაც მტრულმა ელემენტებმა მიმართეს, რათა ხელი შეეშალათ მუშაობისათვის.

მშრომელთა დიდ ნდობას თავიანთი პარტიისა და მთავრობისადმი მკაფიოდ მოწმობს ვილჰელმ პიკის სახელობის მანსფელდის კომბინატის ერნსტ ტელმანის სახელობის შახტის მაღაროელთა დეპეშა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ვილჰელმ პიკისადმი. ამ დეპეშაში მეშახტეები კმაყოფილებით აღასტურებენ, რომ სავსებით ჩაიშალა ფაშისტური პუტჩი, რომელიც ომის გაჩაღების საფრთხეს ქმნიდა. ერნსტ ტელმანის სახელობის შახტის კოლექტივი, ნათქვამია დეპეშაში, მტკიცედ უჭერს მხარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და მუშათა კლასის პარტიას. იგი გამსჭვალულია მისწრაფებით — ყოველი ღონისძიება იხმაროს წარმოების აღმავლობისათვის და ამით აამაღლოს ყველა მშრომელის ცხოვრების დონე.

## საბჭოთა კავშირისა და შვეციის მძლეოსანთა ამხანაგური შეჯიბრება

[illegible]

ადგილი დაიკავა შვედმა სპორტსმენმა ა. რინგსტრემმა — 51,66 მეტრი.

საბჭოთა სპორტსმენებმა ი. ლიტუევმა და ა. იულინმა პირველი ადგილები დაიკავეს 400 მეტრზე რბენაში. ლიტუევის დრო 52,0 წამი.

ამრიგად, საბჭოთა მძლეოსნებმა ყველა სახეობის მძლეოსნურ შეჯიბრებაში ყველა პირველი ადგილი დაიკავეს.

საზოგადოება მხურვალედ მიესალმა შეჯიბრებაში გამარჯვებულებს.

## საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „პრაღის გაზაფხული"

პრაღა, 3 ივლისი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ პრაღის ხელოვნების მუშაკთა სახლში გრძელდებოდა ჩასაბერ ინსტრუმენტების დამკვრელთა კონკურსის მესამე, საბოლოო ტური.

დიდი წარმატებით გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის სოლისტი ბოჟენა კუბიცოვა, რომელმაც შეასრულა მოცარტის კლარნეტის კონცერტი, საბჭოთა მუსიკოსი სტეფანე ვიშნევსკი, რომელმაც შეასრულა გედიკეს ვალტორნის კონცერტი, და უნგრელი მუსიკოსი ტივადარ ბანტაი, რომელმაც შეასრულა გენდელის ჰობოის კონცერტი.

მაყურებელთა მქუხარე ტაში გამოიწვია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ვალერიან ბერდიაევის, რომელიც დირიჟორობდა ჩეხიის ფილარმონიის ორკესტრს სმეტანას სახელობის დარბაზში, და გამოჩენილი პოლონელი ვიოლინისტის ვანდა ვილკომირსკაიას შესანიშნავმა ოსტატობამ.

## კორეის ამბები

### სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 2 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა:

განვლილი დღის მანძილზე სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები აღგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ ხაგამნენის რაიონში და პენამდონის სამხრეთ-დასავლეთით. მოწინააღმდეგის პოლკმა 30-ზე მეტი თვითმფრინავისა და რამდენიმე ათეული ტანკის დახმარებით 6-ჯერ მოიტანა გააფთრებული იერიში, რომლებიც მოგერიებულ იქნა. მოწინააღმდეგემ მნიშვნელოვანი ზარალი ნახა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მფრინავებმა ჩამოაგდეს მტრის 3 და დააზიანეს 5 თვითმფრინავი.

## სინხუას სააგენტო ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეწყობით ლისინმანელთა და გომინდანელთა შეთანხმების შესახებ

პეკინი, 2 ივლისი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კესონელი კორესპონდენტის 1 ივლისის ცნობაში ნათქვამია:

ამერიკელთა ხელშეწყობით ლისინმანელი და ჩანკაიშელი ბანდიტები ამზადებენ ტყვე ჩინელ სახალხო მოხალისეთა ძალით დაკავების ახალ გეგმებს.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, 14 მაისს, პანმინჯონის მოლაპარაკებაზე შეერთებული შტატების მიერ თავიანთი „კონტრწინადადების" შეტანის ერთი დღის შემდეგ, გომინდანელმა ბანდიტებმა შეერთებული შტატების „ელჩს" ტაივანზე რენკინს გადასცეს საპროტესტო ნოტა იმ პირობების წინააღმდეგ, რომლებსაც ამერიკის „კონტრწინადადება" შეიცავდა. ამ პირობების თანახმად, უნდა შეიქმნას ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან შემდგარი სარეპატრიაციო კომისია. ჩან კაი-შიმ თავის 17 მაისის წერილობით განცხადებაში ინტერნეიშენლ ნიუს სერვისის სააგენტოს კორესპონდენტისადმი აშკარად მოითხოვა, რომ ტყვე ჩინელი სახალხო მოხალისენი, რომელთა რეპატრიაცია უშუალოდ არ ხდება, მას გადასცენ. ლისინმანელებმა და გომინდანელებმა ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტი დაამყარეს იმ აშკარა მიზნით, რომ შეიმუშაონ ტყვე ჩინელების ძალით დაკავების ერთობლივი გეგმა. იუწყებოდნენ, რომ გომინდანელმა ბანდიტებმა სატრანსპორტო საშუალებებიც კი მოამზადეს სამხედრო ტყვეების ტაივანზე გადასაყვანად.

ამავე დროს გომინდანელმა ბანდიტებმა, რომლებიც თავიანთი საიდუმლო აგენტების მეშვეობით მოქმედებენ ბანაკებში, გააძლიერეს სამხედრო ტყვეთა დევნა. ამ გომინდანელმა აგენტებმა სამხედრო ტყვეებს სისხლით დააწერინეს ეგრეთწოდებული „პეტიცია" ლი სინ მანისადმი, რაც შეიცავს მოთხოვნას, რომ მან „გაათავისუფლოს" ისინი. იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტის მიერ 29 ივნისს სეულიდან გადაცემულ ცნობაში ნათქვამია, რომ ამ „პეტიციის" შედგენა დამთავრდა ერთი დღით ადრე მანამდე, სანამ ლი სინ მანი ძალით „გაათავისუფლებდა" მრავალ სამხედრო ტყვეს.

მას შემდეგ, რაც ლი სინ მანმა ძალით დააკავა კორეის სახალხო არმიის ტყვე სამხედრო მოსამსახურეთა დიდი ჯგუფი, განაგრძობს კორესპონდენტი, გომინდანელმა ბანდიტებმა ერთი მხრივ მოაწყეს „დემონსტრაციები", რომლებიც მოითხოვდნენ კუნძულ ჩეჯუდოზე არსებული ბანაკებიდან სამხედრო ტყვეთა „განთავისუფლებას", და მეორე მხრივ ლი სინ მანის დახმარებით დაიწყეს ტყვე ჩინელი სახალხო მოხალისეების დაკავება. იუნაიტედ პრესის სააგენტოს მიერ პუსანიდან 23 ივნისს გადმოცემულ ცნობაში ნათქვამი იყო, რომ პუსანის ახლოს მდებარე ერთი ჰოსპიტლიდან 18 ივნისს მოიტაცეს 113 ტყვე ჩინელი. ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჰიბსონი 23 ივნისს იტყობინებოდა, რომ 107 სამხედრო ტყვე გაიყვანეს ბანაკიდან 20 ივნისს ლისინმანელ ჯარისკაცთა ბადრაგობით.

ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები თავიანთ ცნობებში აღიარებენ, რომ ზოგიერთ ბანაკს დარაჯობდნენ მხოლოდ და მხოლოდ ამერიკელი ჯარისკაცებისაგან შემდგარი მცველთა რაზმები. მაგრამ ეს ჯარისკაცები საქმეში არ ჩარეულან, როცა ჩინელ სამხედრო ტყვეებს ძალით აიძულებდნენ დაეტოვებინათ ბანაკები. ამ სამხედრო ტყვეთა დასაბრუნებლად არავითარი ცდა არ ყოფილა.

## რა იფარება ეგრეთწოდებული „კორეა-ამერიკის ურთიერთდაცვის ხელშეკრულების" პროექტებით

ფხენიანი, 2 ივლისი. (საკდესი). კორეის საზოგადოებრიობა აღშფოთებით შეხვდა ცნობას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ლისინმანელთა ხროვას შორის მზადდება ეგრეთწოდებული „კორეა-ამერიკის ურთიერთდაცვის ხელშეკრულების" დადება. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამ სამხედრო ხელშეკრულების მიზანია ხელი შეუშალოს დროებითი ზავის მალე დადებას და შესაძლებლობა მისცეს ლისინმანელთა ხროვას, როცა უნდა ჩაშალოს შეთანხმება და კვლავ დაიწყოს ომი.

„ნოდონ სინმუნი" წერს, რომ კორეელი ხალხი აღშფოთებით გმობს ამერიკის თვალთმაქცურ პოლიტიკას. ეგრეთწოდებული „კორეა-ამერიკის ურთიერთდაცვის ხელშეკრულების" მომზადების მიზანი, — აღნიშნავს გაზეთი, — ის არის, რომ, ჯერ-ერთი, დაბრკოლება შეუქმნას დროებითი ზავის მალე დადებას და მეორე — დროებითი ზავის დადების შემთხვევაში შექმნას სამხრეთ კორეის მოსახლეობის დაუბრკოლებელი ექსპლოატაციის პირობები, ხელი შეუშალოს კორეის მშვიდობიან გაერთიანებას და კვლავ გააჩაღოს ომი. ბრძოლაში გამოწრთობილი და განმტკიცებული კორეელი ხალხი, აცხადებს გაზეთი, ჩაშლის ამ შავბნელ გეგმებს.

გაზეთი „მინჯუ ჩოსონი" სტატიაში სათაურით „კორეა-ამერიკის ხელშეკრულება ურთიერთდაცვის შესახებ კორეელ ხალხს ახალ ტანჯვასა და მსხვერპლს უქადის" წერს, რომ ამ „ხელშეკრულებით" შეერთებულ შტატებს უნდა დაეთმოს ნავსადგურები და დიდმნიშვნელოვანი სამხედრო ბაზები სამხრეთ კორეაში, ჩვენი ქვეყნის სამხრეთი ნაწილი სამუდამოდ გადაიქცეს ამერიკის შეერთებული შტატების კოლონიად. ეს ხელშეკრულება წარმოადგენს თავისებურ ნაღმს, მისი მიზანია ჩაშალოს დაზავება კორეაში და პოლიტიკური კონფერენცია, რომელიც დროებითი ზავის შემდეგ უნდა მოიწვიონ. კორეელ ხალხს სურს დაზავება, რომელიც იქნებოდა არა მარტო ცეცხლის დროებითი შეწყვეტა, არამედ კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის წინაპირობაც.



ქუთაისი. მანქანათმშენებელ ქარხანა „მაღაროელის" კულტკომბინატის შენობის ხედი.
ფოტო ვ. ზარიძისა.

## მ. ბ. კანკავა — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა მ. ბ. კანკავამ მოსკოვში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „ვ. ი. დალი როგორც ლექსიკოგრაფი".

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ ამხ. მ. ბ. კანკავას მიანიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

## რაიონული ბიბლიოთეკების მუშაკთა კონფერენცია

**თბილისში მუშაობა დაიწყო რაიონული ბიბლიოთეკების** გამგეთა კურს-კონფერენციამ, რომელიც მოიწვია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა მთავარმა სამმართველომ.

კონფერენციაზე ჩამოვიდნენ რაიონული ბიბლიოთეკების გამგეები ასპინძის, თეთრი წყაროს, ამბროლაურის, თელავის, ყაზბეგის, ქლუხორის და სხვა რაიონებიდან. ისინი ერთმანეთს გაუზიარებენ თავიანთი მუშაობის გამოცდილებას, მოისმენენ ლექციებს საბიბლიოთეკო მუშაობის აქტუალურ საკითხებზე.

## ზრუნვა კოლმეურნე დედებისათვის

ხაშური. („კომუნისტის" კორ.). როგორც კი მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები გაჩაღდა, სოფელ ალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობამ გახსნა სეზონური საბავშვო ბაგა, რომელშიც ახლა 38 ბავშვია.

კოლმეურნეობას აქვს აგრეთვე საბავშვო ბაღი, სადაც 45 ბავშვი იზრდება. ცალკე გახსნილი ბაგა სოფლის საავადმყოფოსთან 20 ბავშვისათვის.

კოლმეურნეობის გამგეობის ასეთმა ზრუნვამ დედებისათვის საშუალება მისცა ასამდე ქალს მონაწილეობა მიიღოს საკოლმეურნეო შრომაში.

## ჭადრაკი

### საქართველოს ჩემპიონის გამოსავლინებლად

ამიერკავკასიის რკინიგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლში გრძელდება ოსტატობის კანდიდატების ა. ბლაგიძისა და ა. ბუსლაევის მატჩი ჭადრაკში საქართველოს 1953 წლის ჩემპიონის გამოსავლინებლად.

მეხუთე ტურის წინ, რომელიც 2 ივლისს გაიმართა, ანგარიში იყო 2:2. საინტერესოდ მიმდინარეობდა მეხუთე პარტია. მოწინააღმდეგეებმა გაითამაშეს ძველი ინდიური დაცვის გაცვლითი ვარიანტი. 26-ე სვლაზე ა. ბლაგიძემ შავებით შეძლო პაიკის მოგება, ხელთ იგდო ინიციატივა და მეორმოცე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია.

ამრიგად, მატჩის უკანასკნელი ტურის წინ ა. ბლაგიძეს აქვს 3 ქულა, ა. ბუსლაევს — 2 ქულა. დღეს გაიმართება უკანასკნელი ტური.

## მთის ლავანდას მოსავალი

ცხაკაია. („კომუნისტის" კორ.). ძვირფას ეთერზეთოვან მცენარეთა შორის მთის ლავანდას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ხორშის საბჭოთა მეურნეობაში უკვე მოკრიფეს და ზეთსახდელ ქარხანას ჩააბარეს 1.000 კილოგრამი ლავანდას ყვავილი.

ამ დღეებში კრეფა მასობრივად გაჩაღდება.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### „ა" კლასი

2 ივლისს მოსკოვის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი შეჯიბრება ფეხბურთში საბჭოთა კავშირის პირველობაზე. თამაშობდნენ დედაქალაქის დინამოელები და მათი კიეველი თანაკლუბელები. შეხვედრა დამთავრდა მოსკოვის „დინამოს" გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.


**თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1953-1954 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე:** 1. ისტორია-ფილოლოგიისა (ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობებზე), 2. ფიზიკა-მათემატიკისა (ფიზიკისა და მათემატიკის სპეციალობებზე).

ინსტიტუტში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 17-დან 35 წლამდე, რომლებსაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება და წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს.

**შენიშვნა:** ტექნიკუმის, პედსასწავლებლისა და სამწლიანი სამედიცინო სკოლის კურსდამთავრებულნი გამოცდებზე დაიშვებიან მათთვის სავალდებულო სამწლიანი სტაჟის გავლის შემდეგ. სტაჟი არ მოეთხოვებათ ტექნიკუმის იმ კურსდამთავრებულებს, რომლებიც მოხვდნენ გამოშვების 5 პროცენტში.

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: ა) საშუალო სკოლის დამთავრებისას „წარჩინებული სწავლისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის" ოქროსა და ვერცხლის მედლით დაჯილდოებული პირები, მათგან პირველ რიგში ჩაირიცხებიან ოქროს მედლით, შემდეგ კი ვერცხლის მედლით დაჯილდოებულნი, ბ) უგამოცდოდ ჩაირიცხებიან აგრეთვე ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს პედსასწავლებელი „ფრიადზე" (წარჩინებული ნიშნებით) და მოხვდნენ გამოშვების 5%-ში. დანარჩენი პირები მისაღებ გამოცდებს აბარებენ საერთო წესით.

იმ პირთაგან, რომლებმაც მისაღები გამოცდები ჩააბარეს და მიიღეს შეფასება არანაკლებ „სამისა", ჩაირიცხებიან უფრო მაღალი ნიშნის მქონენი.

ინსტიტუტში შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი) ყველა ფაკულტეტზე. ხოლო სპეციალობის მიხედვით — შემდეგ საგნებში:

**ისტორია-ფილოლოგიის:** ა) ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე: სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, გეოგრაფია, ერთ-ერთი უცხო ენა (ინგლისური, ფრანგული ან გერმანული); ბ) რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე: სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, გეოგრაფია, ერთ-ერთი უცხო ენა; გ) ისტორიის სპეციალობაზე: სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, გეოგრაფია.

**2. ფიზიკა-მათემატიკის:** მათემატიკა (ზეპირი, წერა), ფიზიკა, ქიმია.

მისაღები გამოცდები იწარმოებს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამის მიხედვით. განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე, სტუდენტთა ჩარიცხვა 21-დან 25 აგვისტომდე. უგამოცდოდ მისაღები პირების ჩარიცხვა მოხდება 31 ივლისამდე განცხადებათა შემოტანის მიხედვით.

ინსტიტუტში შემსვლელს (თელავი, ერეკლე II ქუჩა № 1) დირექტორის სახელზე შეაქვს განცხადება შემდეგი საბუთების თანდართვით: ა) დაწვრილებითი ავტობიოგრაფია, ბ) ატესტატი საშუალო სკოლის დამთავრების შესახებ (დედანი), გ) პასპორტი (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად გამოცხადებისას), დ) სამი ფოტოსურათი: ზომა 3X4 სმ., გადაღებული უქუდოდ და დამოწმებული სახელმწიფო დაწესებულების მიერ, ე) ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (აუცილებელია მხოლოდ სამხედროვალდებულთათვის).

განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს ის ფაკულტეტი და სპეციალობა, რომელზეც სურს შემსვლელს ჩარიცხვა. მისაღებ გამოცდებზე დაშვებულთა სამედიცინო შემოწმება იწარმოებს ინსტიტუტის შენობაში.

ცნობებისა და კონსულტაციების მიღება ინსტიტუტში შესვლის შესახებ შეიძლება ინსტიტუტში ყოველდღე 9-დან 4 საათამდე.

ინსტიტუტში შემსვლელებს შეუძლიათ ისარგებლონ მიმოხილვითი ლექციებითა და კონსულტაციებით, რომლებიც ჩატარდება 6-დან 28 ივლისამდე (არსებობს სათანადო ცხრილი).

მეცადინეობა ყველა კურსზე დაიწყება 1 სექტემბერს.

ინსტიტუტის სტუდენტები სტიპენდიას მიიღებენ საერთო წესით.



**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

სსრ კავშირის ლენინის ორდენოსანი დიდი თეატრის სოლისტების გასტროლები: რსფსრ დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი **ივანე პეტროვი**, სტალინური პრემიის ლაურეატი **ვლადიმერ ივანოვსკი**.

ოთხშაბათს, 8 ივლისს პ. ჩაიკოვსკი **პიკის ქალი**
გერმანის პარტიას შეასრულებს ვ. ივანოვსკი.

ხუთშაბათს, 9 ივლისს პ. ჩაიკოვსკი **იოლანტა** და **საკონცერტო განყოფილება**
რენეს პარტიას შეასრულებს ი. პეტროვი.

პარასკევს, 10 ივლისს ჟ. ბიზე **კარმენი**
ხოზეს პარტიას შეასრულებს ვ. ივანოვსკი.

შაბათს, 11 ივლისს შ. გუნო **ფაუსტი** და **ვალპურგის ღამე**
მეფისტოფელის პარტიას შეასრულებს ი. პეტროვი.

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროებში. აქვე იღებენ განცხადებას ყველა გამოცხადებულ სპექტაკლზე. სალარო ღიაა დილის 11 საათიდან საღამოს 9 საათ. და 30 წუთამდე.



**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

| | |
|---|---|
| 4 ივლისს | ჯ. როსინი — **სევილიელი დალაქი** |
| 5 ივლისს | დღის 12 საათზე ლ. დელიბი — **ლაკმე**; საღამოს დ. თორაძე — **გორდა** |

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.



**სახელმწიფო დაზღვევა აწარმოებს სიცოცხლის სხვადასხვა სახეობის ნებაყოფლობით დაზღვევას.**

სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ერთი ან რამდენიმე სახეობის დაზღვევაზე სხვადასხვა ვადით და სხვადასხვა თანხით.

დაზღვევის ხელშეკრულებათა დასადებად მიმართეთ სახდაზღვევის ინსპექციას ან გამოიძახეთ შინ სახდაზღვევის აგენტი.

**სახდაზღვევის სამმართველო საქართველოს სს რესპუბლიკაში.**


მოქალაქე **გიორგი კონსტანტინეს-ძე კობახიძემ**, მცხოვრებმა რუსთაველის პროსპ. № 40, აღძრა საქმე საბჭოს ქ. № 83 მცხოვრებ მოქალაქე **ელენე თედორეს ასულ კობახიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე მარო, შვილები ავთანდილ, თამაზ, რძალი ჯულიეტა, სიმამრი მიხეილ, სიდედრი საშა შვილით ადამოვები იუწყებიან **ვასო ნიკოლოზის-ძე ჯალიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-VII, 8 ს. გამოსვენება 5-VII, 5 ს. დიდუბის ქ. № 13.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატის თანამშრომლები იუწყებიან **ალექსანდრე მარკოზის-ძე რიჟამაძის** გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

ძმები მიხეილ, აკაკი, ნიკოლოზ რიჟამაძეები, და ოლღა ქარცივაძე ოჯახებით იუწყებიან **ალექსანდრე მარკოზის-ძე რიჟამაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4-VII, 8 ს. გამოსვენება 5-VII, 5 ს. მელიქიშვილის ქ. № 14.

ნატალია ნასიძე, ელენე, სოსო ბოსიკაშვილები, შალვა, თომა ფიცხელაურები, მარგალიტა, გიორგი ნაცვლიშვილები ოჯახებით იუწყებიან სიძის **ალექსანდრე მარკოზის-ძე რიჟამაძის** გარდაცვალებას.

მარიამ, ლუარსაბ, გივი და ანდრო კარბელაშვილები იუწყებიან სიძის **ალექსანდრე მარკოზის-ძე რიჟამაძის** გარდაცვალებას.

ამიერკავკასიის რკინიგზის ცენტრალური სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან **ალექსანდრე გიგინეიშვილის** გარდაცვალებას.

ძმები ევსევი, დავით ოჯახებით, და ტატიანა ჩოგოვაძეები, დეიდა ევრაქსი ქარხალაშვილი იუწყებიან **ალექსანდრე ირაკლის-ძე ჩოგოვაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-VII ქ. მოსკოვში. მე-2 მეშჩანის ქ. № 26.

დეიდები მარიამ გვენეტაძე, ანა შანიძე, ნინო თოფურია, ბიძა ვლადიმერ, ბიცოლები მატრონე, პისტი ლორიები ოჯახებით იუწყებიან **ჟენია ქიშვარდის ასულ ქუასელის** გარდაცვალებას.

ხვთისო, ნინო სვიმონიშვილები, გენო, თამარ ორჯონიკიძეები, ვასო, ქეთო ღვინაძეები, გიორგი, თინა შაიშმელაშვილები იუწყებიან ბიძის **ვასო ნიკოლოზის-ძე ჯალიაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 5-VII, 5 ს. დიდუბის ქ. № 13.

მეუღლე ვარლამ, შვილები გიორგი, შალვა, მარგალიტა, რძლები ოფელია, ელისო, სიძე ვ. ქსოვრელი იუწყებიან **ბაბილინა მეთოდეს ასულ ტომარაძე-გოგლიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5, 6-VII, 8 ს. გამოსვენება 7-VII, 5 ს. ჩიტაძის ქ. № 10.


**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების და საქმეთა მმართველობის — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 03451 ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი".